

საქართველოს ეროვნული

ლიტერატურული, თეატრული, მუსიკური



2019 წლის საზოგადოებრივი

არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2019 წლის საქმიანობის ანგარიში



გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიამ ასანიშვილი - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
ნიკა გოგიარაშვილი - მთავარი იურისტი
ანა ფუტკარაძე - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
ლიკა ლეონეჯავა - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
ნიკა მაროვანიშვილი - იურისტ-კონსულტანტი
თამარ ციციშვილი - იურისტ-კონსულტანტი
გიორგი ლაპაძე - საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი
მარიამ სიზანიშვილი - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკეაძე - მრჩეველთა საბჭო
გერა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო
ია გოგიაძე - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, ზერაბ ჭავჭავაძის ქუჩა №12
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 295 35 18, 599 291202

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge



გამომცემლობა „ენიველსალი“
თბილისი 2018

„ახალგაზრდა აღვოკატები“ – თაობა ლირსებისთვის, თავისუფლებისთვის, თანასწორობისთვის

ქვირფასო მეგობრებო,

– ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არა დაუშავებია რა – ამბობდა ყველაზე დიდი ქართველი ვაჟა-ფშაველა. დღეს გენიოსები სანთლით საქებარი გახდა, მაგრამ ზოგად-ქართულ ცნობიერებაზე მათი ლალადისი, აქტუალობას, მნიშვნელობას და სიმძაფრეს, არც თანამედროვე საქართველოსთვის და თანამედროვე საზოგადოების ურთიერთობებისთვის კარგავს. 2019 წელს, ქვეყანამ დაპირისპირებების ქრონიკით იცხოვრა. თითქმის ყველა სფეროში, წესრიგისა და სამართლიანობის დეფიციტი გაჩნდა. კატეგორიულმა აზროვნებამ მთლიანად გამორიცხა რაციონალური აზროვნების მოსმენის კულტურა. საზოგადოებრივი აზრის შექმნელებმა შესაშური ოსტატობით შეძლეს წარმატებების წარუმატებლობად წარმოჩენა, სინამდვილის სიყალპედ ჩვენება, საგნებსა და მოვლენებზე სხვადასხვა სახელის დარქმევა. სამწუხაროდ, ეს დამახასიათებელი აღმოჩნდა ყველა სფეროსთვის, ამ „არეულ მონასტერში“ კი ისევ იჭყლიტება თაობა, რომელმაც მოიტანა დამოუკიდებელი საქართველო და რომელიც დაიბადა დამოუკიდებელ საქართველოში. სამწუხაროდ, ხალხის სამსახურში მათ ჩადგომას, სარბიელზე, არავინ ჩქარობს. სარბიელზე მხოლოდ დროის სხვა გმირები და ანტიგმირები არიან, ისინი, ვისაც შეუძლიათ, რუსულ ოკუპაციაზეც და გაბმულ მავთულხლართებზეც, არასწორად იფიქრონ ან არასწორი თქვან.

სულ რამდენიმე დღის წინ, მთელი საზოგადოება აალაპარაკა სწორედ ჩვენი თაობის გამორჩეულმა მოღვაწემ, პოეტმა და პროზაიკოსმა, გიორგი კეკელიძემ. „პუბლიკაში“ გამოქვეყნებული მისი ნააზრევი, ალბათ, ყველაზე კარგად ეხმიანება ოკუპაციის უმძიმესს თემას, საზოგადოებრივ განწყობებს და 2019 წელს. გვინდოდა ამით დაგვემთავრებინა, რადგანაც ეს არ არის მხოლოდ დასკვნა საზოგადოებრივ პროცესზე, არამედ არის ერთგვარი შეჯამება 2019 წელს – ყოფნა-არყოფნა, საკითხავი, აი, ეს არის და ასე იცხოვრა საქართველომ ამ წელს: „– კი, რაღაც ყველაფერს პროვოკაციის სუნი ასდის: ხომ იცოდა გაფრინდაშვილმა, რომ დააპატიმრებდნენ, რაღას გადადიოდა „იმ მხარეს“? ხომ იცოდა ტატუნაშვილმა, რომ მოკლავდნენ, რაღატომ გადაწყვიტა წასვლა? ანწუხელიძემ ხომ იცოდა, რუსეთი რომ დიდია და მაგას ვერ მოერევი, რატომ არ დანებდა? ზვიად გამსახურდიამ ხომ იცოდა, რომ მოკლავდნენ, რაღას ბრუნდებოდა სამშობლოში? ხომ იცოდა მოხელ ჯავახიშვილმა, რომ ანამებდნენ და დახვრეტდნენ? და ილია ჭავჭავაძემ ხომ იცოდა, გულში ტყვიის დახლა რომ არის სამშობლოს გულით სიყვარულის ბოლო? დიმიტრი ყიფიანმაც ხომ იცოდა? თევდორე მღვდელმა? ხომ იცოდა შუშანიკმა საპყრობილები რომ ამოალპობდნენ? ან ამ აბოს რაღი რჯიდა? იცოდნენ, იცოდნენ და რომ იცოდნენ, იმიტომ ზიხართ ახლა თქვენ დამოუკიდებელი საქართველოს რომელიღაც ქალაქში, თბილ ოთახში და დიდი წვალებით, მაგრამ მაინც რუსული შრიფტით აცოდვილებთ ბრძნულ შეკითხვას: ხომ იცოდა? და მე გპასუხობთ – იცოდა!“ – წერს გიორგი კეკელიძე.

მშვიდობა და წინსვლა გქონდეთ 2020 წელს!

არჩილ კაიკაციშვილი,

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
26 დეკემბერი, 2019



არჩილ კაიკაციშვილი
ხელმძღვანელი



ილია გოგიძერაშვილი
მთავარი იურისტი



ანა ფუტკარაძე
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში



ლიკა ლემონვავა
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

2019 წელი, „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ახალი გამოწვევებით, ახალი წარმატებებითა და ახალი შედეგებით იყოს დატვირთული. თქვენს წინაშეა ორგანიზაციის წლის შემაჯამებელი გამოცემა, რომელიც დეტალურად ასახავს ყველა მოვლენას, ყველა გამოხმაურებას, კვლევებს, მონიტორინგებს, რეკომენდაციებს, ინიციატივებს, რომელიც წლის განმავლობაში ორგანიზაციას გააჩნდა. ალბათ, არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მიმართაც, ორგანიზაციას არ წარმოედგინა საკუთარი სამოქალაქო პოზიცია და სამართლებრივი შეფასება.

2019 წელს, ჩვენთვის კვლავ აქტუალური იყო სასამართლო სისტემა, საჯარო უწყებების მუშაობის შეფასება, მიმდინარე რეფორმების სამართლებრივი ანალიზი, სამართლიანობის აღდგენის საკითხიდან გამომდინარე პროცესი, სოციალური სამართლიანობის საკითხები და სხვა. ორგანიზაციას 2019 წელს, გასულ წელთან შედარებით, გააჩნდა კიდევ უფრო მეტად წარმატებული სამართლარმოების სტატიკა და ბევრი საქმე სასამართლოში. სტატისტიკური მონაცემით, ორგანიზაციის წარმოებაში არსებული 60%-ზე მეტი საქმე წარმატებით დასრულდა, 10%-ზე მეტი დასრულდა მხარეთა შორის სასამართლო მორიგებით, 15%-მდე დავაზე არ დადგა წარმატებული შედეგი, ყველა სხვა შემთხვევაში, მიმდინარეა საქმისწარმოება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. არაერთი სადაცო საკითხი ორგანიზაციამ მხარეთა შორის მედიაციით დასრულდა სასამართლოს გარეშე. რაც შეეხება საქმისწარმოების მართვის თვალსაზრისით, ყველაზე ბევრი საქმე წარმოებულია ან/და მიმდინარე პირველი ინსტაციის სასამართლოში, შემდეგ სააპელაციო, შემდეგ კი საკასაციო ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი ყველა საქმეს სასამართლოში იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატების“ მეშვეობით აწარმოებს.

ორგანიზაციის უფასო იურიდიული კონსულტაციით, როგორც უშუალო შეხვედრების გზით, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით, მთლიანობაში ისარგებლა 147 მოქალაქემ, მათ შორის საქართველოს რეგიონებიდან და საქართველოს საზღვრებს გარეთ. ორგანიზაციის წარმოებაშია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საქმეებიც, რომელიც წრო წონო სისტემით მიხედვით ხორციელდება.

2019 წელს, ორგანიზაციამ გამოსცა 2 კვლევა, რომელიც შეეხებოდა მელტონიანებისა და „ქართული სკოლის“ საქმეს. 10-ზე მეტ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თემაზე ჩაატარა მონიტორინგი და შესწავლა. მოამზადა 4 სადაცსკუსიო მაგიდა, იმშუავა კანონშემოქმედებით საკითხებზე, საქართველოს სა-

კონსტიტუციონ სასამართლოში წარადგინა 1 კონსტიტუციური სარჩელი, უზრუნველყო საქართველოს პარლამენტში წარდგენილი სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების კანონპროექტის საჯარო განხილვები სხვადასხვა უნივერსიტეტში, სამართლიანობის აღდგენის თემიდან გამომდინარე, საზოგადოებას შესთავაზა წილების აუქციონის გზით გასხვისების შესახებ ინიციატივა და მისი საკანონმდებლო დონეზე დასმის გზები.

ორგანიზაციამ 2019 წელს პოლიტიკის, სამართლისა და საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე გამართა 15-ზე მეტი პრესკონფერენცია, მედიაში გავრცელდა 143 საჯარო განცხადება, ორგანიზაციის გუნდის წევრები 137-ჯერ იქნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო არხზე მომზადებულ სიუჟეტებსა და ლია ეთერში, ხოლო ბეჭდურ გამოცემებში - 16-ჯერ, ახალი ამბების სააგენტოებში, ორგანიზაციის საჯარო განცხადება და აღმასრულებელი გუნდის ცალკეული წევრების კომენტარი, სულ წარმოდგენილი იქნა 718-ჯერ, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია განვლილ წლებთან მიმართებით. ორგანიზაციამ სხვადასხვა უწყების მიმართ გააგზავნა (23 დეკემბრის მდგომარეობით) 286 წერილი, ხოლო გამოხმაურება მიიღო 138 კორესპონდენციის სახით. მათ შორის, არსებობდა კომუნიკაცია დიპლომატიურ კორპუსთან. ამასთან, ორგანიზაცია, მიმდინარე წელს, მონაწილეობდა პროფესიული და საგანმანათლებლო ხასიათის არაერთ შეხვედრაზე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ამაყობს თავისი გუნდის პროფესიული წარმატებით - ორგანიზაციის სადამუშანებლო საბჭოს წევრი მარიამ ასანიშვილი გახდა პირველი ქართველი, რომელიც გახდა ირლანდიის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. კიდევ ერთი წარმატება უკავშირდება ორგანიზაციის მთავარი იურისტ ნიკა გოგბერაშვილის შედეგებს, რომელმაც საერთო სპეციალიზაციით, წარმატებით ჩააბარა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკვალიფიკაციო გამოცდა და გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ამასთან, იურისტი ანა ფუტკარაძე Erasmus+ის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა ვილნიუსში, სადაც 2019 წლის 3-11 ნოემბრის შუალედში, დაესწრო არაფორმალური განათლების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებს. საქართველოდან პროგრამით, სულ 5 წევრი შეიიჩა, მათ შორის ანა ფუტკარაძე. ორგანიზაციამ 2019 წელს განაახლა გუნდის შემადგენლობაც და კიდევ ერთი ნაყოფიერი წელიც, ერთგულად ემსახურა საზოგადოებას.



თამარ ციხიშვილი
იურისტ-კონსულტანტი



ილა გეორგიშვილი
იურისტ-კონსულტანტი



გიორგი ლაპახე
საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი



მარიამ ბიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი



მთელი წელი საზოგადოებისთვის

იანვარი, 2019 – ორგანიზაციამ გააკეთა ოფიციალური განცხადება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლების შერჩევის პროცესი უაღრესად კრიტიკულად შეაფასა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ დაპირისპირების პოლიტიკურმა და სამართლებრივმა მხარემ ზიანი მოუტანა საქართველოს სასამართლოს რეპუტაციას, მოსამართლის მიმართ ნდობას, შელახა მართლმსაჯულების სისტემაში, ბოლო წლებში ხელშესახები რეფორმის შედეგები და საზოგადოება სასამართლოს მიმართ განაწყო ანტაგონისტურად. რასაკვირველია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უნდა აქმაყოფილებდეს არამხოლოდ პროფესიონალიზმის ყველა მოთხოვნას, არამედ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მისი პიროვნული რეპუტაციის მიმართ გამოკვეთილი დამოკიდებულება. ახალ კრიტერიუმებზე დისკუსია უნდა მოხდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის აქტიური ჩართულობით, რაც დღეს არ მიმდინარეობს და პროცესი უნდა გახდეს უკიდურესად გამჭვირვალე, რაც ასევე არ არის მიღწეული. ახალი კრიტერიუმების დანერგვის პროცესში, როგორც საქართველოს პარლამენტს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, უნდა ესმოდეს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა საზოგადოების ფართო მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელია, იქნება უშედეგო და კიდევ უფრო მეტად შელახავს ნდობას სასამართლოს საქმიანობის მიმართ. ორგანიზაცია, თავის არაერთ საჯარო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2012 წლის პოლიტიკური ცვლილებების მთავარი მოტივაცია, მათ შორის ერთპარტიული დემოკრატიის სასამართლო ხელისუფლებაში დასრულების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა ყველა პრობლემის სათავე, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაშიც, შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ ფაქტორებით, როდესაც არ მომხდარა მძიმე მემკვიდრეობის სამართლებრივი შეფასება, პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილება, სასამართლო

ხელისუფლებისთვის მისი ძირითადი ფუნქციის დაბრუნება და სამართლიანობის აღქმის საზოგადოებრივი მოთხოვნების უზრუნველყოფა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა პარლამენტზეა, „მოსამართლე“ სალანდლავი სიტყვა არ უნდა გახდეს.

ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობას „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2015“ პროექტთან დაკავშირებით, რეკომენდაციით მიმართა და დოკუმენტში გარკვეულ მიმართულებებზე მეტი სიცხადის უზრუნველყოფა მოითხოვა. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებისას, საშუალო-ვადიანი სტრატეგიის პირობებში აუცილებელია: მოძიებული იქნას ფისკალურ ავტონომიასთან დაკავშირებული კონკრეტული გზები, რაც შეიძლება გამოხატული იქნას საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებაშიც. განისაზღვროს თვითმმართველობისთვის ფინანსების მოძიების საშუალებები, ცენტრალური ბიუჯეტისგან გვერდის ავლით. განმტკიცებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილება უნარიანობის შესაძლებლობები. გაუმჯობესებული იქნას გამჭვირვალე მმართველობის პრინციპი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის პირობებში და დაცული იქნას კანონიერების პრინციპის ფარგლები და მის უზრუნველსაყოფად, განხორციელდეს ეფექტუალური სახელმწიფო კონტროლი.

თებერვალი, 2019 – ორგანიზაცია გამოხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების შედეგად „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილისთვის ხელმოწერის უფლების შეჩერებას და ბანკში, 2008-2007 წლებში განხორციელებული ტრანზაქციებით ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტზე მიმდინარე დისკუსიას, სადაც აღნიშნა, რომ საჭიროა პროცესის მეტი



მთელი წელი საზოგადოებისთვის

გამჭვირვალობა, რომელიც თანაბრად უნდა უზრუნველყო სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოს მოქმედების საჯაროობით, სასამართლომ – მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობით და პროცესის მონაწილე მხარეებმა – საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და „თიბისი ბანკის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა საზოგადოებისთვის მტკი დოკუმენტური სიმართლის მიწოდების საშუალებებით. ორგანიზაციის შეფასებით, ნებისმიერი განცხადება, რომელიც შერჩევით მართლმსაჯულებაზე კეთდება პოლიტიკური ჯუფების, დაინტერესებული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ცალკეული აქტივისტების მხრიდან, უწინარეს ყოვლისა, აზიანებს „თიბისი ბანკის“ ფუნქციონირებას და ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მიმართ ქმნის დესტრუქციულ წარმოდგენებს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პროცესში დემოკრატიული ინსტიტუციების ჩართვით და საერთაშორისო დონორების მონაწილეობით, უნდა მომხდარყო ბანკის რეპუტაციული მდგომარეობის შენარჩუნება და ბანკი თავად უნდა იყოს დაინტერესებული, ჰქონდეს ერთმნიშვნელოვანი პოზიცია საზოგადოებისთვის, რომ შესაძლო დარღვეულ უფლებას დაიცავს მხოლოდ სამართლებრივი საშუალებებით.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, რომელიც მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მხრიდან არასრულწლოვნების აღზრდასა და სწავლების პროცესში დაკისრებული მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტებზე რეაგირებას და სამართლებრივ კვალიფიკაციას შეეხება. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა, თუ რამდენ შემთხვევაში დადგა მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობა და რამდენ შემთხვევაში ეს პასუხისმგებლობა არ დადგა. ამასთან, ორგანიზაცია დაინტერესდა სამართალდარღვევის ფაქტებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე სამართალნარ-

მოების სტატისტიკით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაინდება, რომ 2016 წელს გამოვლინდა სამართალდარღვევის – 166 შემთხვევა, 2017 წელს – 189, ხოლო 2018 წელს – 144 შემთხვევა. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის მანძილზე, განხილულ იქნა 124 საქმე, თუმცა სასამართლოს არ მოუწოდებია ინფორმაცია 2017-2016 წლებში განხილული საქმეების თაობაზე. აღმოჩნდა, რომ ბოლო სამ წელიწადში, საქართველოში 499 „დასჯილი მშობლის“ შემთხვევა გამოვლინდა.

მარტი, 2019 – ორგანიზაციამ საზოგადოებას მიაწოდა სამ სხვადასხვა საკითხზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. კერძოდ, შესწავლილ იქნა საქართველოში საქორწინო კონტრაქტების კულტურა, სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ განხილული საქმეების მდგომარეობა და პრეზიდენტის მრჩევლების პრემიები, დანამატები და ფინანსური ხარჯი.

ორგანიზაციის პირველი მონიტორინგის თანახმად, საქართველოში 151 ოჯახს საქორწინო კონტრაქტი აქვს რეგისტრირებული. შესწავლის ფარგლებში, ინტერესი შეეხებოდა 2015-2018 წლებში, საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაციას, დადებული კონტრაქტების გაუქმების მაჩვენებელს, საქორწინო კონტრაქტის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და ამ ხელშეკრულების მხარეთა ასაკობრივ მაჩვენებელს. ამასთან, ორგანიზაციამ გამოითხოვა ინფორმაცია დასახელებულ პერიოდში განქორწინების სტატისტიკის თაობაზე. ამასთან, ინფორმაცია, 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის მდგომარეობით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, რამდენი საქორწინო ხელშეკრულების შენიშვნების რეგისტრაცია განხორციელდა. შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, ბოლო 3 წლის განმავლობაში, საქართველოში განქორწინების სტატისტიკა შეადგენს 37,892 შემთხვევას. სტატისტიკა ხასიათ-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

დება მზარდი მაჩვენებლით. 2017 წელს თბილისში 3731 წყვილი განქორწინდა, იმერეთში — 1739. ამასთან, ალსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს მასშტაბით ოჯახში დანაშაულის 746 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 61%- გახსნილა. ოჯახში ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლავ თბილისშია, ხოლო 2018 წელს მარტის თვის მდგომარეობით, პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, 965-ს შეადგენს.

ორგანიზაციის მეორე მონიტორინგის თანახმად, ბოლო სამ წელიწადში, ყველაზე მეტი საქმე ქუთაისის, მცხეთის, ოზურგეთის, ხელვაჩაურისა და გურჯაანის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარებმა განიხილეს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015-2018/01 მდგომარეობით, განიხილა — 4627 საქმე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ — 3262, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ — 3246. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა — 22,101 საქმე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ — 11,828, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ — 7813. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ — 4086, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ — 3359, ხოლო სისხლის სამართლის პალატამ — 4295. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლო სისტემაში, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, სამართლწარმოებას სასამართლოს თავმჯდომარებიც ახორციელებენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს და უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ადმინისტრაციული თანამდებობის უფლებამოსილების განხორციელებასთან ერთად.

ორგანიზაციის მესამე მონიტორინგის თანახმად, პრეზიდენტის მრჩევლებმა 2018-2013 წლებში, 1,108,529.56 ლარი აიღეს, მივლინებებში კი ბიუჯე-

ტიდან 370,13.80 ლარი დაიხარჯა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის მრჩევლებმა 2018-2013 წლებში, მათი უფლებამოსილების განხორციელების მანძილზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, სულ განახორციელეს — 334 ვიზიტი და უზრუნველყოფისთვის, მთლიანობაში დაიხარჯა — 370,13.80 ლარი. აქედან, საქართველოს რეგიონებში სამივლინებო ხარჯს წარმოადგენს — 23,828,50 ლარი, ხოლო საზღვარგარეთ მივლინების დროს — 346, 185.30 ლარი. მრჩევლებმა მთლიანობაში, თანამდებობრივი სარგოს სახით მიიღეს — 695,161.52 ლარი, დანამატის სახით — 291,809.04 ლარი და პრემიის სახით — 121,559 ლარი. მთლიანობაში, პრეზიდენტის მრჩევლების ხარჯმა შეადგინა — 1,108,529.56 ლარი.

აპრილი, 2019 — ორგანიზაცია გამოეხმაურა პანკისის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის დაპირისპირებას და აღნიშნა, რომ ძალადობა სახელმწიფო ინსტიტუციების წინააღმდეგ, ისევე, როგორც დიალოგის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, დაუშვებელია. ორგანიზაციის შეფასებით, საჭიროა ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა მეტი სიცხადე შეიტანონ იმ წარმოებული დიალოგის თაობაზე, რომელიც ხეობაში მცირე ჰესის მშენებლობის საკითხზე ადგილობრივ მოქალაქეებთან მიმდინარეობდა. კერძოდ, რამდენად ჩართული აღმოჩნდა დიალოგში ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა, რა პოზიცია გააჩნდა განსახილველ საკითხებზე უხუცესთა საბჭოს, რამდენად მოხდა მოსახლეობის მოსახლეობის კრიტიკული ანალიზი, რამდენად შეძლო ჰესის მშენებარე კომპანიამ მოსახლეობასთან საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა და პროექტის ეკონომიკური თუ სოციალური მნიშვნელობის გაცნობა, იყო თუ არა პროექტის განხორციელებაზე ერთსულოვანი ადგილობრივი მოქალაქეები და მათთან დასრულებული დიალოგის 21 პრილის მდგომარეობით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი




მთელი წელი საზოგადოებისთვის

საკითხია ხეობის მოსახლეობის ინფორმირება, ვინაიდან მხოლოდ საჯარო დაწესებულების მოხელეებთან შეხვედრების ჩატარება ობიექტურ სურათს ვერ გამოკვეთდა, ჰესის მშენებლობის იდეის გარშემო. შესაბამისად, ორგანიზაცია ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს რეალურს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგი სრულფასოვნად არ იქნა წარმოებული.

ორგანიზაცია ცალსახად აღნიშნავს, რომ სრულიად მიუღებელია პოლიციის, როგორც ინსტიტუციის მიმართ დაშვებული ძალადობა და ლეგიტიმური მოთხოვნების მიმართ დაუმორჩილებლობა. მიუღებელია ყველა განცხადება, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, რომელიც რაიმე ფორმით ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას ძალის გადამეტებად წარმოაჩენს. პოლიციას ძალის გამოყენების პროცესში, არ დაურღვევია კანონი და მოქმედება არ გაცდენია, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ლეგიტიმურობის ფარგლებს. ვარიაციები იმის შესახებ, რომ დაპირისპირება გაამძაფრა დამატებითი ძალის ხეობაში შესვლამ, არ ამართლებს საპროტესტო აქციის მონაწილეების ქმედებებს. მომხდარი ინციდენტი უნდა იქნეს სრულფასოვნად შესწავლილი და გამოძიებული, მათ შორის გააჩნდა თუ არა მოსალოდნელი დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფოს, რომელმაც ჰესის მშენებლობის პროცესში, უსაფრთხოების მიზნით 35 პოლიციელის ადგილზე მობილიზების გადაწყვეტილება თავიდანვე მიიღო და მოსახლეობის ორგანიზებულობა, მობილიზება ქვებითა და ხელჯონებით, გარდაუვალს ხდიდა თუ არა შეტაკებას.

მაისი, 2019 – ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ მოვალეთა რეესტრში 158,422 ფიზიკური და 7172 იურიდიული პირია რეგისტრირებული, ბანკებმა კი, ბოლო სამ თვეში, 161 707 653 ლარის ქონება

ისაკუთრეს. ორგანიზაციამ მოვალეთა რეესტრში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემის შესახებ შესწავლის შედეგები გამოაქვეყნეს და აღნიშნეს, რომ შედეგები ყოველწლიურად მზარდია – მხოლოდ 2019 წლის სამი თვეს მონაცემით, მოვალეთა რეესტრში დარეგისტრირდა 232 54 მოქალაქე, ხოლო 1057 – იურიდიული პირი. ქვეყნის მასშტაბით, ამჟამად, მოვალეთა რეესტრში 158,422 ფიზიკური და 7172 იურიდიული პირი ირიცხება. იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის შესწავლის შედეგად, ასევე დადგენილია, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ იქნა 975,236 პირი, მოვალეთა რეესტრში არსებული მონაცემები კიდევ უფრო მეტად მიუთითებს სახელმწიფოს გადამჭრელ და აუცილებელ მოქმედებებსა და რეფორმაზე, რომელიც სილარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სტიმულირებას შეეხება. 2019 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა, საერთო ჯამში, 161 707 653 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს. დასაკუთრებული ქონების მოცულობის მიხედვით, პირველ ადგილს იჭერს „საქართველოს ბანკი“ – 67 493 281 ლარი, შემდგომ – „თიბისი ბანკი“ – 51 064 472 ლარი. აგრეთვე, „ქართუ ბანკი“ – 24 803 612 ლარი, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – 8 483 208 ლარი, „ბაზის ბანკი“ – 7 174 086 ლარი. 716 491 ლარის ღირებულების ქონება მიისაკუთრა „სილქ როუდ ბანკმა“, 348 155 ლარის ქონება „კრედიტ ბანკმა“, 138 905 ლარის ქონება „ფინკა ბანკი საქართველომ“, 486 546 ლარის ქონება „ხალიკ ბანკი საქართველომ“, „ტერაბანკმა“ – 884 779 ლარის, „ლიბერთი ბანკმა“ – 66 770 ლარის, ხოლო „ზირაათ ბანკი საქართველომ“ – 47 348 ლარის ქონება. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, „იშ ბანკი საქართველოს“, „პაშა ბანკი საქართველოსა“ და „პროკრედიტ ბანკს“ დასაკუთ-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

რებული ქონება არ ერიცხებათ.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, რომელიც შეეხებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შესწავლის შეფეხებს და აღნიშნა, რომ საჯარო უწყების მიერ განხორციელებული ხარჯები არ ტოვებს „ქამრების შემოჭერის“ სახელისუფლებო პოლიტიკის ტენდენციებს. ადგილი აქვს საგანმანათლებლო დანესტულებების მიმართ უკანონო გადაწყვეტილებების მიღებას, მათი საგანმანათლებლო და კომერციული ინტერესების დაზიანებას, წაგებული დავების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზიანს, რაც მენეჯმენტის პოლიტიკის კრიზისზე მეტყველებს. შესწავლილი მასალის თანახმად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2017-2019 წლის პირველ ნახევარში, სამივლინებო ხარჯების სახით, სულ 171,208.03 ლარი დახარჯა. კერძოდ, ქვეყნის შიგნით დაიხარჯა, მთლიანობაში – 13,473.72 ლარი, ქვეყნის გარეთ – 157,734.31 ლარი. მივლინებაში გამოხატული ღირებულება გულისხმობს სასტუმროს ხარჯს. უფრო კონკრეტულად, ცენტრმა ქვეყნის გარეთ სასტუმრო მომსახურებაში გასწია 2017 წელს – 60,571.20 ლარი, 2018 წელს – 77,429.26 და 2019 წლის პირველი სამი თვეს მონაცემით – 19,733.85 ლარი, ხოლო ქვეყნის შიგნით, 2017 წელს – 7,508.44 ლარი, 2018 წელს – 5,286.28 ლარი, ხოლო 2019 წლის პირველი სამი თვის მონაცემით – 679.00 ლარი. რაც შეეხება ცენტრის ღირებულების, მისი მოადგილების, სამსახურისა და სამართველოს უფროსების მიმართ გაცემულ თანამდებობრივ სარგოს, პრემიერსა და დანამატებს, ბოლო სამი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2017-2019 წლის პირველი სამი თვის მონაცემით, ჯამში შეადგინა 985,677.14 ლარი.

0360სი, 2019 – ორგანიზაცია საზოგადოების სამართლიან პროტესტს უერთდება, რომელიც საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის ქცევამ გა-

მოიწვია. საქართველოს ტერიტორიების ოკუპირების პირობებში, რუსეთის პარლამენტის წევრის ქმედება, დაეჭირა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის პირველი პირის სავარძელი და მოქმდინა ფორუმის ხელმძღვანელობა, გაეკეთებია განცხადებები, საქართველოს საზოგადოების შეურაცხყოფა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მომხდარზე პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტმა უნდა აიღოს, ვინაიდან პარლამენტი ინსტიტუციურად წარმოადგენს მართლმადიდებლური საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სხვა სპიკერები, უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან მომხდარზე და მათთან ერთად, უნდა დადგეს ლონისძიების ორგანიზატორი პარლამენტის წევრების პასუხისმგებლობის საკითხიც. გაუგებარია, რატომ ჩატარდა ღონისძიება საქართველოს პარლამენტის შენობაში და უშუალოდ იმ დარბაზში, სადაც წარმომადგენლობითი ორგანოს ძირითადი საქმიანობა მიმდინარეობს, რატომ შეიცვალა ღონისძიების დღის წესრიგი, თუ სხდომის ხელმძღვანელობა საბერძნეთის წარმომადგენლის მეშვეობით უნდა წარმართულიყო, რატომ არ მოახდინეს რეაგირება და პირველი პროტესტი თავად პარლამენტის წევრებმა, რომელებიც იმყოფებიდნენ დარბაზში. საზოგადოებას უფლება აქვს დასმულ საკითხებზე პასუხი მიიღოს. ორგანიზაციას მიაჩინა, რომ პროვოკაცია, რომელიც საქართველოს პარლამენტში შედგა, პოლიტიკური და სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ამასთან, მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს ქვეყნის საგარეო და სამინაო მოვლენები-დან გამომდინარე საფრთხეები და არ მოხდეს ეროვნული და სამოქალაქო ინტერესების საწინააღმდეგო პროცესების განვითარება.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პარლამენტში უზენაესი სა-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

სამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენის საკითხებს. წარმოდგენილი სია სასამართლო სისტემასთან, პოლიტიკურ პროცესთან და საზოგადოებრივ მოვლენებთან მდგომი ადამიანებისთვის თვალსაჩინო მაჩვენებელია, ვის რა სურს. სია ასახავს სასამართლოს ინტერესის გამომხატველ კანდიდატებს, რომელიც თავის მხრივ უნდა შეფასდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ახლოს მდგომ მოსამართლებად და მოსამართლეებად, რომლებიც არ გამოხატავენ არც ერთი ჯგუფის ინტერესებს. სია მოიცავს კანდიდატებს, რომლებსაც შეიძლება ლობირებს სხვადასხვა სამთავრობო უნიტები. სია მოიცავს პირებს, რომლთა საქმიანობაც დაკავშირებულია ფინანსურად ძლიერი და დონორი ინსტიტუციებიდან მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესებთან. სიაში ვხდებით პირებს, რომელთა წარმატებითაც შესაძლოა დაინტერესებული იყოს საპარლამენტო პოლიტიკური ოპოზიცია და კანდიდატები, რომლებიც მოდიან თავისუფალი პროფესიიდან – ცნობილი ადვოკატები, ყოფილი მოსამართლეები, აკადემიური სფეროდან სამართლის შესანიშნავი სპეციალისტები.

ორგანიზაციამ საზოგადოებას წარუდგინა მონიტორინგის შედეგები, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სახელფასო პოლიტიკასა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლის შედეგებს. აღმოჩენდა, რომ საქსტატის დირექტორი პრემიერზე მაღალ, პენსიონერზე 26 ჯერ და საარსებო მინიმუმზე – 33-ჯერ მეტ ხელფასს იღებს.

03 ლისტობრივი 2019 – ორგანიზაციამ საზოგადოებას ახალი კვლევის შედეგები წარუდგინა, რომლიც შეეხება ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში „ქართული სკოლის“ ქონებების დაუფლების ფაქტს, პარტნიორების ქუჩაში გაყრას და რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების გაკოტრებას. „ქართული სკოლაზე“

რომელიც დაფუძნდა 2008 წელს და დასახელებული სახელწოდებით საქმიანობდა 2011 წლიდან, არსებობა 2017 წელს, იძულებით შეწყვიტა. საკუთრების უფლების დაცვის უპირატესობით, შესაძლებელი გახდა განათლების უფლების უგულვებელყოფა და არასათანადო ჩარევისა შედეგად, დახურვისა წინაშე აღმოჩენდა რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. ქუთაისში, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ დააყენა, როგორც განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, ასევე ნამდვილი მესაკუთრეთა უფლებები. კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ სკოლა ეცადა საკუთარი ძალებით მოხდინა უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ფასად გასხვისება, მოახდინა უძრავი ქონების განთავსება აუქციონის შესაბამის ელექტრონულ გვერდზეც, მაგრამ უშედეგოდ. ბანკის მხრიდან საშეღავათო პერიოდის დაწესებასა და რესტრუქტურიზაციაზე უარმა კიდევ უფრო მეტად რთულ ვითარებაში ჩააგდო საგანმანათლებო დაწესებულება. შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია სკოლის საქმიანობის შეჩერება (გაუქმება), მოსწავლეებისა და კვალიფიციური თანამშრომლების გადინება, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი. ბანკმა, არსებული რეგულაციებისა და პოლიტიკის პირობებში, სკოლის სახით, შეიძინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კაპიტალი – უძრავი ქონებები, მოსპონ საგანმანათლებლო კერა, ფაქტობრივად, საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა ქვეყნაში კიდევ ერთი შეძლებული ოჯახი, რაც ეკონომიკური გენოციდის ტოლფასია. დადგენილია, რომ სააღსრულებლო საქმის წარმოების აღმასრულებელმა, რეალიზაციის მიზნით, შეაფასა იპოთეკის უფლებით დატვირთული ორი უძრავი ქონება, სარეალიზაციო ქონების შეფასება განხორციელდა აღმასრულებლის ინიციატივით მოწვეული ექსპერტის მიერ რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად – კერძოდ, ერთი ქონება შეფასდა 165000 ლარად და ხოლო მეორე ქონება – 48800 ლარად. უძრავი ქონების რეალური ღირებულება კი სკოლის დამფუძნებლის,



მთელი წელი საზოგადოებისთვის

მერაბ გვაზავას მიერ ჩატარებული ალტერნატიული შეფასებით, შეადგენდა პირველ შემთხვევაში – 417935 ლარს და მეორე შემთხვევაში - 876528 ლარს. შესაბამისად, ქონებები შეფასდა ერთ შემთხვევაში – 252935 ლარით და მეორე შემთხვევაში – 388528 ლარით ნაკლები თანხით. აშკარაა, რომ ქონების შეგნებულად დაბალ ფასში შეფასებამ ბანკი ჩააყენა უპირატეს მდგომარეობაში – მისცა მას საშუალება უძრავი ქონებები შეეძინა დაბალ ფასში, რამაც მნიშვნელოვნად დაარღვია თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ორგანიზაცია საკითხზე ადვოკატირებას აგრძელებს.

აგვისტო, 2019 – ორგანიზაციამ მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენაზე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში არსებულ მდგომარეობის შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის პირველი ნახევრის მონაცემით, მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის თაობაზე წარდგენილმა განცხადებების რაოდენობამ შეადგინა – 3732, ამჟამად კი, ქვეყნაში მარტოხელა მშობლის სტატუსით – 3628 პირი სარგებლობს. აღმოჩნდა, რომ 2015-2019 წლის პირველ ნახევარში, სახელმწიფოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მისაღებად, სულ 3714 ბიოლოგიურმა და 18 არაბიოლოგიურმა მშობელმა მიმართა განაცხადით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები კონკრეტული სოციალური სტატუსის მიკუთვნების გამო, რაიმე ფულადი სახის ბენეფიტებით უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე, როგორც ცალკე აღებულ კატეგორიაზე, სოციალური დახმარება არ ვრცელდება, მაგრამ არსებობს სხვა შეღავათი, რასაც საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს. კერძოდ, საშემოსავლო გადასახდით შემოსავლის 20%-ით არ იბეგრება „მარტოხელა დედა“, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება

3000 ლარს, მაგრამ დასახელებული კანონის ნორმა, ცალსახად დისკრიმინაციულია და სამართლებრივი ხარვეზს წარმოშობს, ვინაიდან იგივე შეღავათით ვერ სარგებლობენ მარტოხელა მამები. სამართლიანი იქნება ცვლილების შეტანის გზით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეიცვალოს ჩანაწერი „მარტოხელა დედა“ „მარტოხელა მშობელით“, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული შეღავათები/სიკეთე თანაბრად მოქმედებდეს, როგორც მარტოხელა დედებზე, ასევე მარტოხელა მამებზე. სტატუსის ქვეშ მყოფი მარტოხელა მშობლების რეალობა, დღესდღეობით საკმაოდ რთულია. იმ მშობლების გარდა, რომლებიც აღიცებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, გვყავს ასობით მარტოხელა დედა/მამა, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება. დღევანდელი მდგომარეობა ცალსახად უთითებს, რომ შესაცვლელია მათდამი სოციალური პოლიტიკა, მათ შორის მეტი ფინანსების დახარჯვის სახით. საჭიროა გაფართოვდეს პირთა წრეც, ვისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება მარტოხელა მშობლის სტატუსის მიღება და მშობლების საჭიროებების შესაბამისად, განისაზღვროს სხვადასხვა სოციალური და სამართლებრივი გარანტიები. კანონი უნდა ვრცელდებოდეს ქვითვზეც, რომლებიც მარტოხელა ზრდიან შვილებს და მარტოხელა მშობლებზე, რომლებიც დოკუმენტურად ქორწინებაში იმყოფებიან, თუმცა რეალურად არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებენ შვილების მიშართ.

ორგანიზაციამ საზოგადოებას გააცნო მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებზე დამდგარი შედეგები. კერძოდ, განცხადებები გაკეთდა ლისის ტბის წართმევის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული სახლის დაბრუნებასა და კომპანია „ნანოკორეფიტის“ გაკოტრების პროცესზე. თითოეული მათგანის შესახებ წინამდებარე ანგარიშ-




მთელი წელი საზოგადოებისთვის

ში ცალკე მსჯელობა იქნება.

სექტემბერი, 2019 – ორგანიზაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობის გამოქვეყნებულ შედეგებს გამოიხმაურა და აღნიშნა, რომ პარლამენტისათვის წარსადგენ სიაში მოსამართლე და არამოსამართლე კანდიდატებს შორის შერჩევის დროს, სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს დაცული. ორგანიზაცია ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველ კანდიდატებთან გასაუბრების ღია პროცესს და გარკვეულწილად, არსებობდა საზოგადოებრივი მოლოდინი 20-წევრიან, ქულათა შედეგების თვალსაზრისით, შემადგენლობაში აღმოჩენილიყვნენ სხვა მოქმედი მოსამართლეებიც – მადი ჩანტლაძე, გიორგი ტყავაძე, გიორგი გოგიაშვილი, ქეთევან მესხიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ილონა თოლუა, ზაზა თაგაძე, თამარ ზამბაზიძე, დიანა ბერეკაშვილი, არამოსამართლე კანდიდატები – ნუნუ კვანტალიანი, ალექსანდრე წულაძე, მორისი შალიკაშვილი, ლევან მესხორაძე, თამარ ლალიაშვილი, მაია კოპალეიშვილი და როინ მიგრიაული. ორგანიზაცია ცალკე აღნიშნავს, რომ კითხვებს აჩენს როინ მიგრიაულის შეფასება, რომელიც კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების კრიტიკულებს უნდა დაფუძნებოდა. აღნიშნულ კანდიდატურას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 წევრის მხრიდან უარყოფითი შეფასება მიეცა და აღინიშნა, რომ კანდიდატურა არ აკმაყოფილებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს. ასეთი შეფასება გასაკვირია არამხოლოდ კანდიდატის საჯარო გასაუბრების საფუძვლებით, არამედ როინ მიგრიაულის სამართლის სფეროში ყველასთვის სახელმძღვანელო დამსახურებების გათვალისწინებით, რასაც, სავარაუდოა, რომ სათანადო შეფასება არ მიეცა.

ორგანიზაცია გამოიხმაურა ე.წ. შენყალების სკანდალს და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადება შენყალების პროცესზე გამოცხადდეს მორატორიუმი, დაიწყოს შენყალების კრიტერიუმებზე მუშაობა და დაიხვეწოს პროცედურები, პრობლემის მიმართ სწორი დამოკიდებულებაა, წარმოადგენს საზოგადოების რეაქციაზე დროულ პასუხს და პრეზიდენტის მხრიდან დაშვებული შეცდომის აღიარებას, თუმცა საზოგადოებას საკითხთან მიმართებით გააჩნია სხვა შეკითხვები და ისინი უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. შენყალებაზე მორატორიუმი შეცდომის აღიარებაა და უნდა გაირკვეს, ვინ დაუშვა შეცდომა პრეზიდენტამდე. არავინ დავობს იმაზე, რომ შენყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, შენყალება წარმოადგენს პუმანურ აქტს, მაგრამ პროცესი ვერ იქნება უკონტროლო. შენყალების პროცესი უნდა პასუხობდეს საზოგადოების უსაფრთხოებისა და ფუნდამენტური უფლებების (სიცოცხლის უფლება) ხელყოფისთვის მნიშვნელოვან დათქმებს. შესაბამისად, საჭიროა დაჩქარებული წესით დაიწყოს და პოლიტიკური ჯგუფებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით წარმოდგენილ იქნეს შენყალების ახალი წესი და მისი განჭვრეტადი კრიტერიუმები. შენყალების ახალი კომისია დაკომპლექტდეს საზოგადოებისთვის სანდო, გამოცდილი და დარგის სპეციალისტებით.

ოქტომბერი, 2019 – ორგანიზაციამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების შემდგომ სისტემური დანაშაულის საქმებზე, სასამართლოსა და საჯარო დაწესებულებების მიღების განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ შეცვლილი გარემოს პირობებში, მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება დაზარალებული მოქალაქეების ქონებრივი უფლებების აღდგენა და სახელმწიფოს ორგანების პოზიციები. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სამართლიანობის აღდგენა ხარვეზებით მიმდინარეობს, ხელისუფლებამ უნდა გადახედოს საჯარო



მთელი წელი საზოგადოებისთვის

უწყებების პოლიტიკას სისტემურ დანაშაულებებზე. საქართველოს ხელისუფლებამ სრულფასოვნად ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენის პროცესის წარმართვა. იძულების წესით ქონებების დათმობის, წამებისა თუ არაადამიანური მოპყრობის არაერთ საქმეზე სამართალნარმოების პროცესი განხორციელდა მთელი რიგი ხარვეზებით. მთავარ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების საჯარო პოზიციები, რომლებიც სისტემური დანაშაულის დავებზე, ქონებების ნების საწინააღმდეგოდ დათმობის ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პოლიტიკას და პოზიციასთან კონფლიქტშია. საერთო სასამართლოებში მიმდინარეობს არაერთი დაგა, რომლის მოპასუხედ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან/და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, თუმცა მათი წარმომადგენლები მუდმივად აღნიშნავენ, რომ ასეთი კატეგორიის დავებზე წარმოებულ სარჩელებს არ ცნობენ და სრულად გამორიცხავენ დაზარალებულ მოქალაქეებთან მორიგების შესაძლებლობასაც. ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს თავად მართლმასაჯულების განხორციელების პროცესში არსებულ გამოწვევებზეც და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის არამხოლოდ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, არამედ სასამართლოს მიმართ საზოგადოების ლეგიტიმაციისა და ნდობის უზრუნველყოფა.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი შეფასება, რომლითაც გამოხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს ეროვნული ბანკის 8,427,840.00 აშშ დოლარის ნასყიდობის ხელშეკულების მიზნობრიობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა გადახდოს. საქართველოს ეროვნული ბანკს ახალი სათავო ოფისის მშენებლობასთან და-

კავშირებით, ნასყიდობის ხელშეკულების დადებით, კანონი არ დაურღვევია, მაგრამ გარიგების სამართლებრივი და ეკონომიკური მიზანშეწონილობა მაღლალი საჯარო ინტერესის საკითხია და მისი შემოწმება მხოლოდ ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს – სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუძლია.

თოვებერი, 2019 – ორგანიზაცია გამოეხმაურა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდებას, ქუჩაში განვითარებულ მოვლენებსა და ე.წ. გერმანული საარჩევნო მოდელის ინიციატივის შემოთავაზებას და აღნიშნა, რომ საზოგადოების და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის, საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ დიალოგის მიღწევა, ფართო ჯგუფების ჩართულობით, საარჩევნო საკითხებზე ფართო დისკუსიის წარმართვა და პატივისცემა დემოკრატიული პრინციპების მიმართ, გააზრება ქვეყნის გამოწვევების გამო და მეტი პასუხისმგებლობა საერთაშორისო პარტნიორებისა და ინსტიტუციების მიმართ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ განვითარების მოცემულ ეტაპზე, საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემა არა შერეული საარჩევნო სისტემის ან მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში დემოკრატიის განხორციელების შეუძლებლობაა, არამედ ანტიპარტიული განწყობები. დემოკრატია წარმოუდგენელია პარტიების გარეშე, თუმცა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების დარწმუნებას და ნდობას, რასაც განსაზღვრავს რამდენიმე მიზეზი: ა) ხელისუფლებაში მოსვლა ძალისმიერი შესაძლებლობებით, ბ) საარჩევნო დემაგოგია, გ) სამართლებრივი პრინციპების უფლებელყოფა, დ) შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა თუ ე) იდეოლოგიური შეხედულებები. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდების შემდგომ, ქუჩაში განვითარებული მოვლენებიც, არ ტოვებს საზოგადოების ფართო ინტერესების გამოხატულების



მთელი წელი საზოგადოებისთვის

შესაძლებლობას, სრულიად მიუღებელია მშვიდობიანი პროტესტის რადიკალიზაცია, კანონსაწინააღმდეგო შტურმი ან პიკეტირება ადმინისტრაციული, საჯარო თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ოფისების, რაც საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას აცლის პროტესტის მიზნებს და მთლიანობაში, არ პასუხობს ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებს, რაც პარტიების პირდაპირი პასუხისმგებლობაა. სახელმწიფოს და ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, უზრუნველყოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის მიმართაც, არსებობს გარკვეული გადაცდომის ნიშნები. შექმნილ ვითარებაში, პარტიებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ კონკრეტული გეგმა და მიმართულებები, თუ როგორ ესახებათ ამომრჩევლის დარწმუნება 2020 წლის არჩევნებში მხარდაჭერის მიღებისთვის. „ორპარტიული დემოკრატიის“ პირობებში, საჭიროა, პარტიებმა უარი თქვან კარჩაკეტილობაზე, მათ რიგებში გამოჩდნენ ახალი სახეები, შეიქმნას რეალური კონკურენცია. განსხვავებულ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მუდმივად მოიგებს ყველა დონის არჩევნებს, რაც პოლიტიკურ პროცესში მყოფი მოთამაშისთვის უჩვეულო მდგომარეობა არ არის. ამდენად, ქვეყანაში დემოკრატიული კრიზისის ნაცვლად, პარტიული კრიზისია, რაც სათანადო დასკვნების გარეშე არ შეიძლება დარჩეს.

დეკემბერი, 2019 – ორგანიზაციამ საზოგადოებას მონიტორინგის შედეგები წარუდგინა, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან არა-სამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების კვლევას. შესწავლით იქნა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მოღვაწეობის პერიოდი – 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით არსებული ხარჯები. დადგინდა, რომ საქართველოში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სულ 238 არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი დაფინანსდა, მათ პროექტებზე კი დაიხარჯა – 9, 580 371 ლარი. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2018 წლის მდგომარებით, ყველა პროექტის დაფინანსების საერთო ჯამური ლირებულებამ შეადგინა – 2, 165 081 ლარი, 2017 წლის მდგომარებით – 321 265 ლარი, 2016 წლის მდგომარებით – 3, 054 124 ლარი, 2015 წლის მდგომარებით – 1, 994 276 ლარი, ხოლო 2014 წლის მდგომარებით – 1, 228 271 ლარი. ფონდიდან თანხა ძირითადად იხარჯებოდა საგანმანთლებლო და სოციალურ პროექტებზე.

ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე, რომლითაც მოთხოვნილია იმ შეზღუდვის გაუქმება, რომლითაც დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ არსებული შეზღუდვა განათლების ხელმისაწვდომობას აფერხებს და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სადაც ნორმების დაჩქარებული წესით განხილვაზე.

ორგანიზაციის ადვოკატირებით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში, გაიგზავნა პირველი საჩივარი: „მელტონიანები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც ევროკონვენციის მეორე და მეექსე მუხლის სავარაუდო დარღვევის დასაბუთებას შეეხება. საჩივრის ავტორი ცნობილი იურისტი, ევროსასამართლოს ექსპერტი ლია მუხაშავრია. ორგანიზაციამ სწორედ 2019 წელს გამოაქვეყნა კვლევა მელტონიანების საქმეზე, რომელმაც მაღალი საჯარო ინტერესი, შედეგად კი – ევროსასამართლოს საჩივრის მომზადება გამოიწვია.




საქართველოს პიზნესომბუდსმენის საქმიანობის შემაჯამებელ ლონისძიებაზე



ადვოკატთა საერთაშორისო ფორუმი თბილისში



ადვოკატები პროფესიული საკითხების განხილვაზე



საერთაშორისო კონფერენცია პროფესიულ საკითხებზე



მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საკითხებზე



იურიდიული დახმარების ბიუროს სტრატეგიის განხილვაზე



თსუ მეცნიერების საქმის განხილვა



მელტონიანების საქმეზე კვლევის პრეზენტაციაზე



მოხალისეობრივი კვირეულის ფარგლებში



ვილნიუსში ახალგაზრდულ გაცვლით შეხვედრაზე



„მოსამართლე“ სალანდლავი სიტყვა არ უნდა გახდეს

2019 წელი ხმაურიანი აღმოჩნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესისთვის. წლის მანძილზე, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა და პროცესი შეაფასა. ასევე, მონაწილეობა მიიღო იმ აღტერნატიული კანონპროექტების განხილვის პროცესში, რომელიც მოსამართლეთა შერჩევის წესთან დაკავშირებით, პარლამენტს წარედგინა.

ორგანიზაციამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი უაღრესად კრიტიკულად შეაფასა და აღნიშნა, რომ დაპირისპირების პლიტიკურმა და სამართლებრივმა მხარემ განსაკუთრებული ზიანი მოუტანა საქართველოს სასამართლოს რეპუტაციას, მოსამართლის მიმართ ნდობას, შელახა მართლმსაჯულების სისტემაში, ბოლო წლებში ხელშესახები რეფორმის შედეგები და საზოგადოება სასამართლოს მიმართ განაწყო ანტაგონისტურად. სასამართლოს ახალი წევრებით დაკომპლექტების საკითხზე, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტს ეკისრება. რასაკვირველია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უნდა აქმაყოფილებდეს არამხოლოდ პროფესიონალიზმის ყველა მოხსენას, არამედ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მისი პიროვნული რეპუტაციის მიმართ გამოკვეთილი დამოკიდებულება. ახალ კრიტერიუმებზე დისკუსია უნდა მოხდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის აქტი-

ური ჩართულობით, რაც დღეს არ მიმდინარეობს და პროცესი უნდა გახდეს უკიდურესად გამჭვირვალე, რაც ასევე არ არის მიღწეული. ახალი კრიტერიუმების დანერგვის პროცესში, როგორც საქართველოს პარლამენტს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, უნდა ესმოდეს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა საზოგადოების ფართო მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელია, იქნება უშედეგო და კიდევ უფრო მეტად შელახავს ნდობას სასამართლოს საქმიანობის მიმართ.

ორგანიზაციის შეფასებით, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ნარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ასევე, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. განვითარებული მოვლენებით უდავოა, რომ სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს მიმართ, საზოგადოების დამოუკიდებულება და ნდობა მნიშვნელოვნად შეიღავა. საზოგადოებას დღეს არ გააჩნია განცდა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლებრივი შერჩევა აბიექტური კრიტერიუმებისა და დემოკრატიული პროცედურების დაცვით მოხდება. მმართველი პოლიტიკური გუნდის დაპირებები -



არასაკმარისია, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა და არასაპარლამენტო პარტიების მოსაზრებები - პოლიტიკური კონტექსტით მოწოდებული, სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციის პოზიცია კი - სამართლიანი, მაგრამ კონფიდენციული.

სასამართლო ხელისუფლებას სრული დამოუკიდებლობისთვის არამხოლოდ სწორი გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება, არამედ საზოგადოების ლეგიტიმაცია და ნდობა. 2004-2012 წლებში, რეფორმირებულმა სასამართლომ პრინციპულ, საჯარო ინტერესების მქონე საქმეებზე მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებით, თავი შეირცხვინა. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების პირდაპირმა და ირიბმა გავლენამ, მოსამართლეების რეპუტაცია საჯაროდ შელახა. სისტემაში ჩამოყალიბდა გავლენის სფეროები და სასამართლო გახდა შერჩევითი მართლმსაჯულების ადგილი. მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო მოქმედებებში, გავლენას ვერ ახდენდა ობიექტური გადაწყვეტილებების დადგომაში. ამიტომაც, დღეს მნიშვნელოვანია, ამ პროცესში პროფესიული საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მოხდეს და საქართველოს სასამართლო სისტემაში ყველა გამოწვევა გადაწყდეს საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესი დაცვით.

ორგანიზაცია გამოეხმაურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველ პირთა რეგისტრირებულ სიას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სია სასამართლო სისტემასთან, პოლიტიკურ პროცესთან და საზოგადოებრივ მოვლენებთან მდგომი ადამიანებისთვის თვალსაჩინო მაჩვენებელია, ვის რა სურს.

სია ასახავს სასამართლოს ინტერესის გამომხატველ კანდიდატებს, რომელიც თავის მხრივ უნდა შეფასდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ახლოს მდგომ მოსამართლეებად და მოსამართლეებად, რომლებიც არ გამოხატავენ არც ერთი ჯგუფის ინტერესებს. სია მოიცავს კანდიდატებს, რომლებსაც შეიძლება ლობირებდნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები. სია მოიცავს პირებს, რომლთა საქმიანობაც დაკავშირებულია ფინანსურად ძლიერი და დონორი ინსტიტუციებისგან მხარდაჭერი არასამათავრობო ორგანიზაციების ინტერესებთან. სიაში ვხდებით პირებს, რომელთა წარმატებითაც შესაძლოა დაინტერესებული იყოს საპარლამენტო პოლიტიკური ოპოზიცია და კანდიდატები, რომლებიც მოდიან თავისუფალი პროფესიიდან - ცნობილი ადვოკატები, ყოფილი მოსამართლეები, აკადემიური სფეროდან სამართლის შესანიშნავი სპეციალისტები.

ორგანიზაცია გამოეხმაურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობის გამოქვეყნებულ შედეგებსაც და აღნიშნა, რომ პარლამენტისთვის წარსადგენ სიაში მოსამართლე და არამოსამართლე კანდიდატებს შორის შერჩევის დროს, სამართლიანი ბალანსი უნდა დაცულიყო. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გარკვეულწილად, არებობდა საზოგადოებრივი მოლოდინი 20-ევრიან, ქულათა შედეგების თვალსაზრისით, პარლამენტში წარდგენილ სიაში, რეპუტაციის მქონე მოქმედ მოსამართლეებთან ერთად, აგრეთვე აღმოჩენილიყო არამოსამართლე კანდიდატებიც, რაც არ მოხდა და შედეგები იმედგაცრუების საფუძველს იძლეოდა.



ქვეყანაში პარტიული დემოკრატიის კრიზისია

საქართველო სწორად პასუხობს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის საზოგადოებრივ დაკვეთას და ქვეყანის დემოკრატია ამ გზაზე კვლავ რჩება სამაგალითო. ხელისუფლების გადაწყვეტილება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს პროპორციული საარჩევნო სისტემით, არის ქვეყნაში სამართლინი, კონკურენტუნარიანი და შესაძლებლობებზე დაფუძნებული სისტემის შექმნის მცდელობა, რაც პასუხს სცემს ყველა თაობის საქართველოს მოქალაქის კითხვას: როგორი ქვეყანა გვსურს. ასეთი იყო „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასება, რომელიც 2019 წლის თბილისში განვითარებული მოვლენების შედეგად, ხელისუფლების გადაწყვეტილებას მოჰყვა და 2024 წლის ნაცვლად, საარჩევნო სისტემის შეცვლა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროისთვის გადაწყდა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული და საზოგადოებრივი პოზიცია დაიტირა, როდესაც ცნობილი გახდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდება, ქუჩაში განვითარებული მოვლენები და ე.წ. გერმანული საარჩევნო მოდელის ინიციატივის გარშემო დისკუსია. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საზოგადოების და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის, საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ დიალოგის მიღწევა, ფართო ჯგუფების ჩართულობით, საარჩევნო საკითხებზე ფართო დისკუსიის ნარმართვა და პატივისცემა დემოკრატიის პრინციპების მიმართ, გააზრება ქვეყნის გამოწვევების გამო და მეტი პასუხისმგებლობა საერთაშორისო პარტნიორებისა და ინსტიტუციების მიმართ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც

უარი ეთქვა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტს, ცალსახად არ პასუხობს საზოგადოების საჯარო ინტერესებს, აზიანებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს და ამცირებს ნდობას ხელისუფლების საქმიანობის მიმართ. მიღებული გადაწყვეტილება, იმავდროულად, არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ კანონმემოქმედებითი პროცესის შემადგენელ ნაწილად, ვინაიდან მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება მმართველ პოლიტიკურ პარტიის.

ორგანიზაცია, ასეთ შემთხვევაში, ეთანხმება მოსაზრებას, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს სამთავრობო პარტიის რისკს და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე წარმატების მიღწევა, მეტწილად დამოკიდებული იქნება მოქალაქეების არჩევანზე (განწყობაზე). შესაბამისად, მმართველი პოლიტიკური პარტიის არაპოპულარულ გადაწყვეტილებას შეაფასებს ამომრჩეველი, რომლისთვისაც, შესაძლოა, პრინციპულად მიღებელია დაპირების შეცვლა და მიღებულ გადაწყვეტილებას განიხილავს ბიძინა იგანიშვილის ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობად.

ამასთან, არ შეიძლება ცალსახად დაიკარგოს მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც ქვეყნის საარჩევნო მოდელს, სწორედ პროპორციული წესით, 2024 წლიდან განსაზღვრავს. შესაბამისად, ორგანიზაცია პოლიტიკური სპეციალაციის შემადგენელ ნაწილად განიხილავს ისეთ განცხადებებს, რომელიც დაკავშირებულია „არჩევანის მოპარვასთან“ ან მის „არალეგიტიმურობასთან“, ვინაიდან, პოლიტიკურად მიღებული გადაწყვეტილება არასახარბიელოა, მაგრამ არ ნიშნავს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების



ჩატარებას ხალხის მონაწილეობის გარეშე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ განვითარების მოცემულ ეტაპზე, საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემა არა შერეული საარჩევნო სისტემის ან მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში დემოკრატიის განხორციელების შეუძლებლობაა, არამედ ანტიპარტიული განწყობები. დემოკრატია წარმოუდგენელია პარტიების გარეშე, თუმცა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, უერ უზრუნველყოფენ საზოგადოებს დარწმუნებას და ნდობას, რასაც განსაზღვრავს რამდენიმე მიზეზი: ა) ხელისუფლებაში მოსვლა ძალისმიერი შესაძლებლობებით, ბ) საარჩევნო დემაგოგია, გ) სამართლებრივი პრინციპების უგულვებელყოფა, დ) შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა თუ ე) იდეოლოგიური შეხედულებები. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდების შემდგომ, ქუჩაში განვითარებული მოვლენებიც, არ ტოვებს საზოგადოების ფართო ინტერესების გამოხატულების შესაძლებლობას, სრულიად მიუღებელია მშვიდობიანი პროტესტის რადიკალიზაცია, კანონსაწინააღმდეგო შტურმი ან პიკეტირება ადმინისტრაციული, საჯარო თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ოფისების, რაც საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას აცლის პროტესტის მიზნებს და მთლიანობაში, არ პასუხობს ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებს, რაც პარტიების პირდაპირი პასუხისმგებლობაა. ამასთან, სახელმწიფოს და ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, უზრუნველყოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის მიმართაც, არსებობს გარკვეული გადაცდომის ნიშნები.

შექმნილ ვითარებაში, პარტიებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ კონკრეტული გეგმა და მიმართულებები, თუ როგორ ესახებათ ამომრჩევლის დარწმუნება 2020 წლის არჩევნებში მხარდაჭერის მიღებისთვის. „ორპარტიული დემოკრატიის“ პირობებში, საჭიროა, პარტიებმა უარი თქვან კარჩაკეტილობზე, მათ რიგებში გამოჩდნენ ახალი სახეები, შეიქმნას რეალური კონკურენცია. განსხვავებულ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მუდმივად მოიგებს ყველა დონის არჩევნებს, რაც პოლიტიკურ პროცესში მყოფი მოთამაშისთვის უჩვეულო მდგომარეობა არ არის. ამდენად, ქვეყანაში დემოკრატიული კრიზისის ნაცვლად, პარტიული კრიზისია, რაც სათანადო დასკვნების გარეშე არ შეიძლება დარჩეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი დისკუსია და საზოგადოებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, თუ რას გულისხმობს არამხოლო ე.ნ. გერმანული საარჩევნო მოდელი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ფორმად სახელდება (რაც, აშკარად არ პასუხობს კონსტიტუციით დადგენილ პარლამენტის დაკომპლექტების წესთან), არამედ თავად პროპორციული საარჩევნო სისტემაც. ფაქტია, პროპორციული საარჩევნო სისტემა სრულად პასუხობს ქვეყნის განვითარების დღევანდელ მოცემულობას, შერეული საარჩევნო სისტემის პირობებშიც რჩება შანსი შეიქმნას ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა (სახეები), თუმცა მთავარი ხალხის პოლიტიკაში მონაწილეობის უზრუნველყოფაა. კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა უნდა ასახოს ხალხის ნამდვილი ნება, არჩევნები უნდა ჩატარდეს თავისუფალ, კონკურენტულ და არაძალადობრივ გარემოში.



მომხდარზე ინსტიტუციური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტზე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოების სამართლიან პროტესტს უერთდება, რომელიც საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის ქცევაში გამოიწვია. საქართველოს ტერიტორიების ოკუპირების პირობებში, რუსეთის პარლამენტის წევრის ქმედება, დაეჭირა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის პირველი პირის სავარძელი და მოეხდინა ფორუმის ხელმძღვანელობა, გაეკეთებია განცხადებები, საქართველოს საზოგადოების შეურაცხყოფაა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მომხდარზე პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტმა უნდა აიღოს, ვინაიდან პარლამენტი ინსტიტუციურად წარმოადგენს მართლმადიდებლური საპარლამენტოაშორისო ასამბლეის წევრს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სხვა სპიკერები, უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან მომხდარზე და მათთან ერთად, უნდა დადგეს ღონისძიების ინიციატივას მიმდინარეობის განვითარება.

ხისმგებლობის საკითხიც. გაუგეპარია, რატომ ჩატარდა ღონისძიება საქართველოს პარლამენტის შენობაში და უშუალოდ იმ დარბაზში, სადაც წარმომადგენლობითი ორგანოს ძირითადი საქმიანობა მიმდინარეობს, რატომ შეიცვალა ღონისძიების დღის წესრიგი, თუ სხდომის ხელმძღვანელობა საბერძნეთის წარმომადგენლის მეშვეობით უნდა წარმართულიყო, რატომ არ მოახდინეს რეაგირება და პირველი პროტესტი თავად პარლამენტის წევრებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ დარბაზში. საზოგადოებას უფლება აქვს დასმულ საკითხებზე პასუხი მიიღოს.

ორგანიზაციას მიაჩნა, რომ პროვოკაცია, რომელიც საქართველოს პარლამენტში შედგა, პოლიტიკური და სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ამასთან, მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს ქვეყნის საგარეო და საშინაო მოვლენებიდან გამომდინარე საფრთხეები და არ მოხდეს ეროვნული და სამოქალაქო ინტერესების საწინააღმდეგო პროცესების განვითარება.



RADIO WAY FM 101

ძალადობა სახელმწიფო ინსტიტუციების წინააღმდეგ, ისევე, როგორც დიალოგის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, დაუშვებელია

2019 წელი საზოგადოებისთვის პანკისში განვითარებული მოვლენებითაც საყურადღებო აღმოჩნდა. რთულია, ცალსახადი ითქვას, რა გვასწავლა პანკისს გავეთლობა, მაგრამ რაც საზოგადოებამ ხეობაში აპრილის თვეში იხილა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ახალგაზრდა ადვოკატების“ სპეციალურ განცხადებაშიც, პირველი, რაც ცალსახად აღინიშნა, შემდეგი შინაარსის მოწოდება იყო - ძალადობა სახელმწიფო ინსტიტუციების წინააღმდეგ, ისევე, როგორც დიალოგის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, დაუშვებელია.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საჭიროა ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა მეტი სიცხადე შეიტანონ იმ წარმოებული დიალოგის თაობაზე, რომელიც ხეობაში მცირე ჰქის მშენებლობის საკითხზე ადგილობრივ მოქალაქებთან მიმდინარეობდა. კერძოდ, რამდენად ჩართულ აღმოჩნდა დიალოგში ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა, რა პოზიცია გააჩნდა განსახილველ საკითხებზე უხუცესთა საბჭოს, რამდენად მოხდა მოსახლეობის მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი, რამდენად შეძლო ჰქის მშენებარე კომპანიამ მოსახლეობასთან საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა და პროექტის ეკონომიკური თუ სოციალური მნიშვნელობის გაცნობა, იყო თუ არა პროექტის განხორციელებაზე ერთსულოვანი ადგილობრივი მოქალაქეები და მათთან დასრულებული დიალოგის 21 აპრილის მდგომარეობით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხის ხეობის მოსახლეობის ინფორმირება, ვინაიდან მხოლოდ საჯარო დაწესებულების მოხელეებთან შეხვედრების ხატარება ობიექტურ სურათს ვერ გამოკვეთდა, ჰქის მშენებლობის იდეის გარშემო. შესაბამისად, ორგანიზაცია ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს რეალურს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგი სრულფასოვან არ იქნა წარმოებული. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ განსაკუთრებულ ისტორიულ და კულტურულ სინამდვილეზე, რომე-

ლიც პანკის ხეობის მოსახლეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ძალისმევა, რათა ადგილზე მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას გააჩნდეს მსარდაჭერა და მაღალა ლეგიტიმაცია. ამასთან, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების ამოცანებიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდებულია გაზარდოს ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობა, როგორც თვითმმართველობას მიუკუთვნებულ საკითხებში, ასევე სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში. ამ მიმართულებით დაშვებული შეცდომები სწორი პოლიტიკით უნდა აღმოფხვრას.

ორგანიზაცია ცალსახად აღნიშნავს, რომ სრულიად მიუღებელია პოლიციის, როგორც ინსტიტუციის მიმართ დაშვებული ძალადობა და ლეგიტიმური მოთხოვნების მიმართ დაუმორჩილებლობა. მიუღებელია ყველა განცხადება, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, რომელიც რაიმე ფორმით ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას ძალის გადამტებებად წარმოაჩენს. პოლიციას ძალის გამოყენების პროცესში, არ დაურღვევებია კანონი და მოქმედება არ გაცდენა, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ლეგიტიმურობის ფარგლებს. ვარიაციები იმის შესახებ, რომ დაპირისპირება გაამძაფრა დამატებითი ძალის ხეობაში შესვლამ, არ ამართლებს საპროტესტო აქციის მონაწილეების ქმედებებს. მომხდარი ინციდენტი უნდა იქნეს სრულფასოვნად შესწავლილი და გამოძიებული, მათ შორის გააჩნდა თუ არა მოსალოდნები დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფოს, რომელმაც ჰქის მშენებლობის პროცესში, უსაფრთხოების მიზნით 35 პოლიციელის ადგილზე მობილიზების გადაწყვეტილება თავიდანვე მიღლო და მოსახლეობის ორგანიზაციას, მობილიზება ქვებითა და ხელჯოხებით, გარდაუვალს ხდიდა თუ არა შეტაკებას.



სამართლიანობის აღდგენა ხარვეზებით მიმდინარეობს

რა შეიცვალა 2012 წლის 1 ოქტომბრის ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, რომელიც ხალხს დაპირდა, რომ სამართლიანობის აღდგენა გარდაუვალი პროცესი იქნებოდა? დღეს ამ შეკითხვას, მოქალაქეებთან ერთად, სამართლიანობის აღდგენის თემაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებიც სვამს, მათ შორის „ახალგაზრდა ადვოკატები“, რომელმაც სისტემური დანაშაულის საქმეზე, არაერთი კვლევა და დასკვნა გამოაქვეყნა. ორგანიზაციის საჯარო განცხადებაც სწორედ იმ პრობლემებზე სუჟარს შეეხო, რომელიც დღესდღეობით სამართლიანობის აღდგენის პროცესში არსებობს და ხელისუფლებას დამატებით პასუხისმგბლობას აკისრებს შესარულოს საზოგადოების წინაშე წლების წინ მიცემული დაპირება – აღადგინოს სამართლიანობა სისტემური დანაშაულის საქმეებზე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ შეცვლილი გარემოს პირობებში, მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება დაზარალებული მოქალაქეების ქონებრივი უფლებების აღდგენა და სახელმწიფოს ორგანოების პოზიციები. საქართველოს ხელისუფლებამ სრულფასოვნად ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენის პროცესის წარმართვა. იძულების წესით ქონებების დათმობის, წამებისა თუ არადამიანური მოპყრობის არაერთ საქმეზე სამართალნარმობების პროცესი განხორციელდა მთელი რიგი ხარვეზებით. მთავარ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების საჯარო პოზიციები, რომლებიც სისტემური დანაშაულის დავებზე, ქონებების ნების საწინააღმდეგოდ დათმობის ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის დეკარიტებულ პირდიგიას და პოზიციასთან კონფლიქტშია. საერთო სასამართლოებში მიმდინარეობს არაერთი დავა, რომლის მოპასუხედ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან/და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, თუმცა მათი წარმომადგენლები მუდმივად აღნიშნავენ, რომ ასეთი კატეგორიის დავებზე წარმოებულ სარჩელებს არ ცნობებ და სრულად გამორიცხავენ დაზარალებულ მოქალაქეებთან მორიგების შესაძლებლობასაც. ორგანიზაციამ არაერთხელ დასვა საკითხი დასახელებული უწყებების წარმომადგენლების პოზიციებთან

მიმართებით და აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, დაზარალებული მოქალაქეებისთვის, სრულიად გაუგებარია, რატომ ეძლევათ ასეთ ადამიანებს სახელმწიფოს სახელით ახორციელებდნენ საპროცესო უფლებამოსილებას, ვინაიდან მათი საჯარო გამონათქვამები, შეფასებები და დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ, შეუფერებელი, აუსხელი და კატეგორიულად მიუღებელია. სამწუხაროდ, ისინი წარმოადგენენ წინა ხელისუფლების დროსაც დასახელებულ უწყებებში დასაქმებულ პირებს და მონაწილეობა აქვთ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების დაცვაში. ორგანიზაცია აღნიშანვს, რომ ამ მიმართულებით, პრობლემა სრულიად უკონტროლობა და სასამართლოსთან ურთიერთობის მქონე პირებზე, პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს მოითხოვს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ აქცენტს აკეთებს თავად მართლისაჯულების განხორციელების პროცესში არსებულ გამოწვევებზეც და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის არამხოლოდ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, არამედ სასამართლოს მიმართ საზოგადოების ლეგიტიმაციისა და ნდობის უზრუნველყოფა. 2004-2012 წლებში, მაშინაც რეფორმირებულმა სასამართლომ პრონციპულ, საჯარო ინტერესების მქონე საქმეებზე მიღებულ უკანონო და დაუსასუტებელი გადაწყვეტილებებთ, თავი შეირცხვინა. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების პირდაპირმა და ირიბმა გავლენამ, მოსამართლების რეპუტაცია საჯაროდ შელახა. სისტემაში ჩამოყალიბდა გავლენის სფეროები და სასამართლო გახდა შერჩევითი მართლისაჯულების ადგილი. დღეს არ მომხდარა მძიმე მემკვიდრეობის სამართლებრივი შეფასება, პასუხისმგბლობის ტკირთის გადანაწილება, სასამართლო ხელისუფლებისთვის მისი ძირითადი ფუნქციის დაბრუნება და სამართლიანობის აღქმის საზოგადოებრივი მოთხოვნების უზრუნველყოფა. სისტემური დანაშაულის საქმეებზე მიმდები მოსამართლები დანინაურება არ წარმოადგენდა არც დღევანდელი საზოგადოების მოთხოვნას და არც თავად სასამართლოს ამოცანას. დაზარალებული მოქალაქეების დარღვეულ უფლებებში აღდგენის პოლიტიკას მართლმსაჯულების პრინციპული ქმედებები აკლია.



შეწყალებაზე მორატორიუმი შეცდომის აღიარებაა და უნდა გაირკვეს, ვინ დაუშვა შეცდომა პრეზიდენტამდე

„ახალგაზრდა ადვოკატები“, ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელიც ე.ნ. შეწყალების სკანდალს გამოეხმაურა და პრეზიდენტის შეწყალების აქტზე საზოგადოებრივ ქრიტიკას შეუერთდა. ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გამჭვირვალე, ლია და ხელმისაწვდომი გახადოს პასუხისმგებელ პირთა წრე, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია 28 აგვისტოს შეწყალების სიაში განზრას მკულელობაში მსჯავრდებული პირებიც მოხვედრილიყო. საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადება შეწყალების პროცესზე გამოცხადდეს მორატორიუმი, დაიწყოს შეწყალების კრიტერიუმებზე მუშაობა და დაიხვეწოს პროცედურები, პრობლემის მიმართ სწორი დამოკიდებულებაა, წარმოადგენს საზოგადოების რეაქციაზე დროულ პასუხს და პრეზიდენტის მხრიდან დაშვებული შეცდომის აღიარებას, თუმცა საზოგადოებას საკითხთან მიმართებით გააჩნია სხვა შეკითხვები და ისინი უპასუხოდ არ უნდა დარჩეს.

მნიშვნელოვანია, საჯარო გახდეს პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც შეწყალებაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარდგენილი განცხადებები შეისწავლეს, შეისწავლეს მსჯავრდებულთა შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებები, მოამზადეს რეკომენდაცა შეწყალებაზე უარის თქმის ან/და თანხმობის შესახებ, სია ხელმოსაწერად წარუდგინეს პრეზიდენტს, ვინაიდან გამოირიცხოს თითოეულ საქმეზე ლობირების ნიშნები თუ სავარაუდო კორუფცია.

„დღეს პრეზიდენტის განცხადება შეეხებოდა მომხდარზე პირადი პასუხისმგებლობის აღებას, რაც პოლიტიკურ, სამართლებრივ, დიპლომატიის ენაზე სწორი ქმედებაა, მაგრამ დავინახეთ იმ ადამიანების თანამონაწილეობის საკითხიც, ძირითადად,

იურიდიული განათლების მქონე ადმინისტრაციაში დასაქმებული პირების, რომელთა პასუხისმგებლობაც გამოკვეთილია თითოეული მსჯავრდებულის შეწყალებაზე წარდგენილი განცხადების შესწავლისა და რეკომენდაციის თვალსაზრისით. აღნიშნული იგრძნობოდა პრეზიდენტის ირიბ შეფასებებშიც, რომელმაც მომხდარზე პასუხისმგებლობა არ გადაანანილა. სამწუხაროდ, ამ ადამიანებმა, პრეზიდენტს და პრეზიდენტის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს და მათი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას. პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული, საზოგადოების ყველა ჯგუფთან დიალოგი უნდა იყოს შეუქცევადი. სადაც გამჭვირვალობას ანგარიშვალდებულება არ მოსდევს, ჩინდება კორუფცია და პირადი გამორჩევის სურვილი, რაც ჩვენი დღევანდელი ამოცანებისთვის, „შეუთავსებელია“ - თქვა არჩილ კაიკაციშვილმა, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, თავის 18 სექტემბრის განცხადებაში.

არავინ დავობს იმაზე, რომ შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, შეწყალება წარმოადგენს ჰემანურ აქტს, მაგრამ პროცესი ვერ იქნება უკონტროლი. შეწყალების პროცესი უნდა პასუხობდეს საზოგადოების უსაფრთხოებისა და ფუნდამენტური უფლებების (სიცოცხლის უფლება) ხელყოფისთვის მნიშვნელოვან დათქმებს. შესაბამისად, საჭიროა დაჩაქრებული წესით დაიწყოს და პოლიტიკური ჯგუფებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით წარმოდგენილ იქნეს შეწყალების ახალი წესი და მისი განტვრეტადი კრიტერიუმები. შეწყალების ახალი კომისია დაკომპლექტდეს საზოგადოებისთვის სანდო, გამოცდილი და დარგის სპეციალისტებით.



„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის შემდეგ, მელტონიანების საქმე სტრასბურგში გაიგზავნა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2016 წლის ივლისში, წალკაში მომზდარ გახმაურებულ დანაშაულზე სამართლებრივი კვლევის შედეგები წარმოადგინეს და სამართლნარმოების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე სარეკომენდაციო წინადადებით საქართველოს უზენაესს სასამართლოს, მთავარ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველს მიმართეს. ორგანიზაციამ კვლევა 2019 წლის იანვარში დაიწყო და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის 2019 წლის აპრილიდან გახადა. კვლევა გამოიცა ინგლისურ ენაზეც და მიეწოდათ საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, საქართველოში აკრძიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას.

ორგანიზაციის კვლევა ეხება მოვლენებს, თუ რატომ დაიჭირეს 2016 წელს და რამდენად სამართლიანად იხდის სასჯელს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წალკის ყოფილი დეპუტატი აიკ მელტონიანი, იქნა თუ არა დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციისთვის გამოყენებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი დეპუტატის საქართველოდან სამსონ თამარიანის გავლენები, რა სამართლებრივი პრეტეზიები იკვეთება პროკურატურის და სასამართლოს მიმართ, რამდენად შეძლო სახელმწიფომ დაეცვა სიცოცხლის უფლება და აქვს თუ არა შურისძიებით ჩადენილ დანაშაულს პოლიტიკურ უთანხმოებთან კავშირი. საქმის მასალებით დგინდება, რომ მელტონიანებისა და თამარიანების ოჯახები ერთმანეთის ნათესავებია, მაგრამ მათ შორის კონფლიქტი, მათ შორის პოლიტიკური შეხედულებების გამო, მრავალი წელია ჩამოყალიბდა, რამაც განსაკუთრებული სიმძაფრე მმართველი პარტიის მხრიდან სამსონ თამარიანის მხარდაჭერის შემდგომ შეიძინა.

შესწავლილი მასალის თანახმად, 2016 წლის 30 ივლისს, სამსონ თამარიანის შვილმა, ოჯახებს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით მოკლა აიკ მელტონიანის ძმიშვილი. მოწმეები მიუთითებენ, თუ როგორ დაძრა სამსონ თამარიანის ძმამ მანქანა და წავიდა ძირს დაცემული, აიკ მელტონიანის შემდგომში გარდაცვლილი ძმისშვილისა და მასთან საშველად მისული პირების მიმართულებით, რა დროსაც ისმის აიკ მელტონიანის შეიღილის ხმა: „მამა მიშველე“. ადგილზე შექმნილი ამ მძიმე ვი-

თარების კვალდაკვალ, აიკ მელტონიანი სამსონ თამარიანის ძმის მიმართულებით ისვრის, რის შემდგომაც, საფრთხე წევით აღმოჩენა და მანქანა მიმართულებას იცვლის. ორგანიზაცია არ იზიარებს სასამართლოების მსჯელობას იმის შესახებ, რომ აიკ მელტონიანმა, რა დროსაც განახორციელა გასროლები სამსონ თამარიანის ძმის მიმართულებით, არ ჰქონდა უკიდურესი აუცილებლობა, თამარიანის ქმედებით არ ემუქრებოდა საფრთხე მის შვილს ან სხვათა სიცოცხლეს, რის გამოც, მას ვერ გაუჩნდებოდა თავდაცვის სურვილი. დანაშაულის ჩადენამდე, მოხდა კიდევ ერთი დანაშაული. კერძოდ, სამსონ თამარიანმა სცადა აიკ მელტონიანის შვილზე მანქანის დაჯახება და მოახერხა ფეხზე გადავლა. ამ შემთხვევასაც სასამართლოებმა განსხვავებული კვალიფიკაცია მიანიჭეს.

ორგანიზაციის სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების სათანადო შეფასების შედეგად, დაზარალებულმა ოჯახმა მხოლოდ მცირედი სახით შეძლო კანონიერი ინტერესის დაკამაყოფილება. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ აიკ მელტონიანის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო. აიკ მელტონიანის ინტერესების დამცველი ადგომატების საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ, რითაც შეიცვალა მსჯავრდებულის მიმართ დადგენილი სასჯელი და ნაცვლად 8 წლის თავისუფლების ადგენტისა, დადგინდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. აიკ მელტონიანისთვის შეფარდებულ სასჯელთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს - მჯავრდებულის პიროვნეული მახასიათებლების, დანაშაულის ჩადენის შემდგომ მისი ქცევის, პასუხისმგებლობის შემამსუბურებელი გარემოებების გათვალისწინებით, ხასიათდება დადებითად, დაჯილდოვებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ღირსების ორდენით - სამართლიანი იქნება სასამართლოს მიერ მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება.

საქართველოს სახელმწიფომ 2016 წლის ივლისში წალკაში მომხდარი მკვლელობის საქმეზე, ვერ შეძლო დაზარალებულად ცნობილი მელტონიანების მიმართ ეპროკონვენციით დაცული სიცოცხლისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვა, ეროვნული სასამართლოებმა მიიღეს არასაკმარისი მტკიცების მქონე გადაწყვეტილებები, საქართველოს პროურატურამ კი არსებითად ვერ შეძლო სიცოცხლის ხელყოფის თავიდან აცილება, რის შედეგადაც, საქმე ევროსასამართლოში გაიგზვანა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად კვლავ გამოძიებაშია იმ პოლიციელების საქმეც, რომელთაც სამსახურეობრივი გულგრილობა ედებათ ბრალად, რომელთა ქმედებებმაც, სავარაუდოდ, ახალგაზრდა კაცის მკვლელობა გამოიწვია.

ევროსასამართლოს საჩივარში აღნიშნულია, რომ ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობა, წარმოადგენს მო-





პასუხე მთავრობის მხრიდან ევროკონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, რადგან მელტონიანებისა და თა-მარიანების ოჯახებს შორის არსებული საყოველთა-ოდ ცნობილი კონფლიქტისა, მოპასუხე მთავრობის სამართალდამცავმა უწყებებმა არაფერი გააკეთეს დანაშაულის პროფილაქტიკისა და მისი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. უფრო მეტი, აი მელტონიანის შვილის დაზიანების ფაქტის გამო, შემთხვევის ადგილზე ადგილობრივმა პოლიციამ ჩაიდინა დანა-შაულებრივი გულგრილობა და უმოქმედობა და შემ-თხვევის ადგილზე არ დატოვეს ერთი პოლიციელიც კი, მიუხედავად მელტონიანების თხოვნისა. პოლიციის ამგვარი ქმედება, პირდაპირ კავშირშია ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობასთან. მოპასუხე მთავრობის პოლიციის მხრიდან ადგევატური ქმედების შემ-დეგ განმცხადებლის დაზიანება არ გადაიზრდებო-და პირველი განმცხადებლის შვილის მკვლელობაში, შესაბამისად, ადგილი აქვს სიცოცხლის უფლების დარღვევას ევროკონვენციის მე-2 მუხლის საწინააღ-მდეგოდ. მკვლელობის ფაქტის არასათანადო გამო-ძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში ასევე დაირღვა ევროკონვენციის მე-2 მუხლი.

ამასთან, საჩივარში აღნიშნულია, რომ განმცხადებ-ლების უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო სამართლი-ანი სასამართლო უფლებით სარგებლობა, რადგან ვერ დააკომპლექტა უზენაესი სასამართლო მოსა-მართლეთა საკმარისი რაოდენობით, რათა უზრუნ-ველეყო საქმის განხილვა მიუკერძოებელი და და-მოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ ევროკონვენციის მე-6.1 მუხლის შესაბამისად. ამასთან, ევროკონვენ-ციის მე-6.3. მუხლის დარღვევას წარმოადგენს გან-მცხადებელთა მიმართ, როგორც დაზარალებულთა

მიმართ მოპასუხე მთავრობის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დაზარალებულს არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი და პრაქტი-კული ბერკეტი ზეგავლენა მოახდინოს მიმდინარე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცეს-ზე იმ შემთხვევაში, როდესაც მისი და პროკურორის პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს, ან წინააღმდე-გობაში მოდის ერთმანეთთან, როგორც ეს მოხდა განმცხადებელთა შემთხვევაში. უფრო მეტიც, და-ზარალებულს არა აქვს უფლება და შესაძლებლო-ბა პროკურორის ნებართვისა და თანხმობის გარეშე გაეცნოს საქმის მასალებს, მიიღოს საქმის მასალე-ბის ასლები, დამოუკიდებლად განახორციელოს რა-იმე მოქმედება, დააყენოს შუამდგომლობა და სხვა. იმ შემთხვევაში, თუკი პროკურორი არასათანადოდ მოქმედებს, პროკურორის წინააღმდეგ საჩივრის შე-ტანით ზემდგომ პროკურორთან, დაზარალებული ვერ ახერხებს ვითარების მცირედით შეცვლასაც კი, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს განმცხადებელთა საქმე. განმცხადებელთა საქმეში დაზარალებულის საპროცესო უუფლებობა წარმოადგენს მოპასუხე მთავრობის სისტემურ, ინსტიტუციურ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია სა-მართლიანი მართლმსაჯულების და მხარეთა თანას-წორობის დამკიდრება.

მელტონიანების საქმე განეკუთვნება იმ საქმეთა რიხეს, რომელიც ხასიათდება კომპლექსურობითა და განსაკუთრებული სირთულით. ევროსასამართლოში ინტერესებს წარმოადგენს იურისტი ლია მუხაშავ-რია, ეროვნულ დონეზე საქმე ანარმოა ადვოკატმა, დანა გვიშიანმა და სამოქალაქო ადვოკატირების პროცესს აგრძელებს „ახალგაზრდა ადვოკატები“.







„პროკრედიტ ბანკი“ ნულოვანი აუქციონით „ქართული სკოლის“ ქონებებს დაეუფლა, სკოლა გააკოტრა და პარტნიორებს ქუჩაში ტოვებს

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ბანკის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გაკოტრების საქმეზე საზოგადოებას ახალი კვლევის შედეგები წარუდგინა, რომელიც შეეხება ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში „ქართული სკოლის“ ქონების დაუფლების ფაქტს, პარტნიორების ქუჩაში გაყრას და რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების გაკოტრებას. „ქართული სკოლამ“, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს და დასახელებული სახელწოდებით საქმიანობდა 2011 წლიდან, არსებობა 2017 წელს, იძულებით შეწყვიტა. საკუთრების უფლების დაცვის უპირატესობით, შესაძლებელი გახდა განათლების უფლების უგულვებელყოფა და არასათანადო ჩარევისა შედეგად, დახურვის წინაშე აღმოჩნდა რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. ქუთაისში, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ დააყენა, როგორც განათლების უფლებაზე ხელმისწავდომობა, ასევე ნამდვილი მესაკუთრეთა უფლებები.

ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, ინფლაციური მოვლენების შედეგად, „ქართული სკოლა“ 2013 წლიდან აღმოჩნდა ფინანსური პრობლემების წინაშე, რამაც გავლენა იქონია ს.ს. „პროკრედიტ ბანკთან“ საკრედიტო ხელშეკრულების შესრულებაზე. კერძოდ, სკოლასა და ბანკს შორის დადებული 123 ათასი აშშ

დოლარის საკრედიტო ხელშეკრულების სრულად შესრულება შეუძლებელი გახდა. „პროკრედიტ ბანკმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. ბანკმა უარი განაცხადა სკოლის მიერ შეთავაზებულ ყველა აღტერნატიულ პირობაზე და რესტრუქტურიზაციის გეგმაზე, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს განადგურებისაგან დაიცავდა, მეორეს მხრივ კი სკოლის ვალდებულებების შესრულებას მოემსახურებოდა. ვერც „ქართულმა სკოლამ“ და ვერც მისმა 50%-იანი წილის მფლობელმა მერაბ გვაზავამ ვერ შეძლეს საკუთრების უფლების შენარჩუნება და საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მართალია, სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების სახით წარმოიშვა მხარეთა შორის, თავისუფალი ნების პირობებში ფორმულირდა, მაგრამ ქართული ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობის პრაქტიკა, რომელიც ქართულ კომერციულ ბანკებსა და მოქალაქეთა ჯგუფს შორის ფორმდება, არ უშვებს შემდგომ კომპრომისებს, გარიგებები მუდმივად წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე დლიერი მხარის უპირობოდ დაცულ ინტერესებს, რასაც ამ შემთხვევაში, ბანკი და მისი სტატუსი განაპირობებს. დადგენილია, რომ სკოლა ბანკს კეთილსინდისიერად



და ჯეროვნად უხდიდა ხელშეკრულებით შე-თანხმებულ ღირებულებას, მაგრამ გარკვეუ-ლი დროის შემდგომ, ვალდებულების შესრუ-ლება იძულებითი წესით, შეწყვიტა. სკოლამ ბანკს 2016 წელს ორჯერ - 12 თებერვალსა და 21 ოქტომბერს შესთავაზა ცვლილებების გან-ხორციელება ხელშეკრულებაში, სესხის რეს-ტრუქტურიზაცია, ვალდებულების გადანაწი-ლება სკოლის შემოსავლების გათვალისწინე-ბით, რაც გათვალისწინებული არ იქნა.

კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ სკო-ლა ეცადა საკუთარი ძალებით მოხდინა უძ-რავი ქონების რეალურ საბაზრო ფასად გას-ხვისება, მოახდინა უძრავი ქონების განთავ-სება აუქციონის შესაბამის ელექტრონულ გვერდზეც, მაგრამ უშედეგოდ. ბანკის მხრი-დან საშეღავათო პერიოდის დაწესებასა და რესტრუქტურიზაციაზე უარმა კიდევ უფრო მეტად რთულ ვითარებაში ჩააგდო საგანმა-ნათლებო დაწესებულება. შექმნილმა ვითარე-ბამ გამოიწვია სკოლის საქმიანობის შეჩერება (გაუქმება), მოსწავლეებისა და კვალიფიცი-ური თანამშრომლების გადინება, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი. ბანკმა, არსებული რეგულაციებისა და პოლიტიკის პირობებში, სკოლის სახით, შეიძინა კიდევ ერთი მნიშვნე-ლოვანი კაპიტალი - უძრავი ქონებები, მოს-პო საგანამანათლებლო კერა, ფაქტობრივად, საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა ქვეყ-ნაში კიდევ ერთი შეძლებული ოჯახი, რაც ეკონომიკური გენოციდის ტოლფასია.

დადგენილია, რომ სააღსრულებლო საქმის წარმოების აღმასრულებელმა, რეალიზაციის მიზნით, შეფასა იპოთეკის უფლებით დატ-ვირთული ორი უძრავი ქონება, სარეალიზაციო ქონების შეფასება განხორციელდა აღმასრუ-ლებლის ინიციატივით მოწვეული ექსპერტის მიერ რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად - კერძოდ, ერთი ქონება შეფასდა 165000 ლარად და ხოლო მეორე ქონება - 48800 ლა-რად. უძრავი ქონების რეალური ღირებულე-ბა კი მერაბ გვაზავას მიერ ჩატარებული ალ-ტერნატიული შეფასებით, შეადგენდა პირველ შემთხვევაში - 417935 ლარს და მეორე შემ-თხვევაში - 876528 ლარს. შესაბამისად, ქონე-ბები შეფასდა ერთ შემთხვევაში - 252935 ლა-


პვლევა

რით და მეორე შემთხვევაში - 388528 ლარით ნაკლები თანხით. აშკარაა, რომ ქონების შეგნებულად დაბალ ფასში შეფასებამ ბანკი ჩააყენა უპირატეს მდგომარეობაში - მისცა მას საშუალება უძრავი ქონების შეეძინა დაბალ ფასში, რამაც მნიშვნელოვნად დაარღვია თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

განსახილველ შემთხვევაში, იძულებით სარეალიზაციო ქონება შეფასდა არაადეკვატურ ფასად, რითაც მესაკუთრეს მოესპონ შესაძლებლობა მისი ქონება აუქციონზე გასულიყო იმ მაქსიმალური ღირებულების ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება იძლეოდა. სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება ცალსახად მიანიშნებს საკუთრების უფლების არალეგიტიმურ შეზღუდვაზე და იმ პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების შეუძლებლობაზე, რასაც კანონი განამტკიცებს. აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაც, რომელმაც ნულოვან აუქციონზე ქონების რეალიზების პრობლემაზე მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა.

კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, ორგანიზაციამ კვლევა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს გაცნო, მათ შორის ბანკთან შუამდგომლობა ეთხოვა საქართველოში გერმანიის საელჩოს. ნათქვამია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩის საქართველოში ჰუბერტ ქნირშის 2019 წლის 17 სექტემბრის წერილში, რომელიც „ქართული სკოლის“ ხელმძღვანელობამ მიიღო, ნათქვამია: „მოგეხსენებათ, უცხო ქვეყნის საელჩო ვერ ჩაერევა ბანკისა და მისი კლიენტის ურთიერთობებში. იქედან გამომდინარე, რომ სკოლაში გერმანული ენა ისწავლება, მე მაინც მივწერ ბანკს და მივიღე პასუხი, რომ ბანკი თანახმა იქნება შენობის უკან შესყიდვაზე იმავე ფასად. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ გაყიდვისას თქვენ დაგაზარალეს, ეს გამოსავალი იქნება“. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქმეზე წარმომადგენლობით უფლებამოსილებასა და საზოგადოებრივ კონტროლს აგრძელებს.





რას სთავაზობს მთავრობას „ახალგაზრდა ადვოკატები“ „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2025“-ის ფარგლებში

2019 წელს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეისწავლეს „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2015“ და საქართველოს მთავრობას პროექტთან დაკავშირებით, რეკომენდაციით მიმართა და დოკუმენტში გარკვეულ მიმართულებებზე მეტი სიცხადის უზრუნველყოფა მოითხოვა. ორგანიზაციის შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს დეცენტრალიზაციის ძირითად მიმართულებებს, რაც შემდეგი სახის ჩამონათვალს მოიცავს: ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა, ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება და სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება. სტრატეგიაზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში, სრულფასოვნადაა წარმოდგენილი თვითმმართველობის განვითარებისთვის საჭირო მიმართულებები, თუმცა, მკაფიო პასუხია საჭირო, თუ რა საშუალებებით შეიძლება იყოს იგი მიღწეული.

დოკუმენტი საკმაოდ ფართოდ ეხმანება სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ზრდს აუცილებლობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული თვითმმართველობის კოდექსის პირობებში, ადგილობრივი ხელისუფლება არ განიცდის უფლებამოსილებათა დეფიციტს, მაგრამ უმთავრეს პრობლემად, სწორედ ავტონომიურობის ნაკლები გააზრება და თვითმმართველობის ერთეულების ფინანსური პრობლემები რჩება.

მნიშვნელოვანია, ცენტრზე პოლიტიკური დამოკიდებულების ფაქტორის მოხსნა და ადგილობრივი საჭიროებებისთვის, თავისუფალ რეჟიმში თავის გართმევა. ამისათვის, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა სწორედ ცენტრალურ ხელისუფლებას ეკისრება, რათა, მეტი თავისუფლება და შესაძლებლობა მისცეს ადგილობრივ თვითმმართველობებს, საკუთარი მიზ-


ნების განსახორციელებლად. ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გამოამჟღავნოს პოლიტიკური ნება თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რეალური ავტონომიის გადაცემის მიზნით ისე, რომ პარალელურად შეძლოს ბალანსის დაცვა, ქვეყნის უსაფრთხოებისა და უშიშროების გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მოქცეული უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების შესრულება, დაკავშირებულია ფინანსურ შესაძლებლობებთან. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტში, ფართოდაა საუბარი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსების ზრდის საჭიროებაზე, თუმცა, არ კონკრეტდება, თუ საიდან შეიძლება იქნას მიღებული შესაბამისი ფინანსური რესურსები.

აქედან გამომდინარე, ფისკალური საკითხების მოწესრიგების ნაწილი ხასიათდება ბუნდოვანებითა და გაურკეველობით. მნიშვნელოვანია, ამ ნაწილში უფრო მეტი სიცხადის შეტანა და აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოების ჯეროვნად ინფორმირება.

ორგანიზაცია მიზნებს, რომ თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებისას, საშუალოვადიანი სტრატეგიის პირობებში აუცილებელია:

- მოძიებული იქნას ფისკალურ ავტონომიასთან დაკავშირებული კონკრეტული გზები, რაც შეიძლება გამოხატული იქნას საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებაშიც;
- განისაზღვროს თვითმმართველობისთვის ფინანსების მოძიების საშუალებები, ცენტრალური ბიუჯეტისგან გვერდის ავლით;
- განმტკიცებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილება უნარიანობის შესაძლებლობები;
- გაუმჯობესებული იქნას გამჭვირვალე მმართველობის პრინციპი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის პირობებში;



ბიზნესომბუდსმენის „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით აღქურვა ბიზნესის დაცვის ახალი მექანიზმია

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო ცვლილების პაკეტი, რომლითაც ბიზნესომბუდსმენს, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ფუნქციის შესრულების უფლებამოსილება მიენიჭა. ბიზნესომბუდსმენს ადმინისტრაციული ორგანოდან ინფორმაციის გამოთხოვის/მიღების ზოგადი უფლება მიენიჭა. ბიზნესომბუდსმენის საერთო სასამართლოების სისტემაში „სასამართლო მეგობრის“ (Amicus Curiae) უფლებამოსილებით აღჭურვის წინადადება „ახალგაზრდა ადვოკატების“ ეკუთვნით. ორგანიზაციამ აღნიშნულის თაობაზე მოსაზრება საქართველოს ბიზნესომბუდსმენის 2018 წლის იანვარში შეხვედრაზე შესთავაზა, ხოლო 2018 წლის მარტში, საკითხზე წარადგინა წერილობითი დასაბუთება და რეკომენდაციები, რის შემდგომაც, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის პარატება, საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან კონსულტაციები დაიწყო და წინადადება საკანონმდებლო ინიციატივად იქცა. შესაბამისად, ორგანიზაცია პირველი იყო, რომელიც წინადადების კანონად ქცევას მიესალმა და აღნიშნა, რომ ბიზნესომბუდსმენის ახალი ფუნქცია საქართველოში ბიზნესის მეტი სამართლებრივი გარანტიების შექმნის, კომერციული დავების სწრაფი გადატრისა და სანდო მართლმჯდარულების განხორციელებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი გახდებოდა. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთის მხრივ სასამართლოებმა მიიღონ დასაბუთებული, კვალიფიციური და კანონიერი გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ ამაღლდეს ნდობა ბიზნესთან დიალოგში, წარმოებული დავები დასრულდეს მორიგებით, ბიზნესომბუდსმენის პოზიტიური რეკომენდაციების საფუძველზე, გაჩნდეს ეფექტური მედიაციის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმდინარე რეფორმის პირობებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში შეიქმნა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეთა განხილვა კვლავ გაჭიანურებულია და მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩინათ სამართლებრივი დასაბუთების პრეტენზია, ასეთ მნიშვნელოვან პროცესში

კი არ უნდა გამოირიცხოს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის კვალიფიციური სამართლებრივი დასკვნები, რომელიც ინდივიდუალურ მოსამართლეს საშუალებას მისცემს, ნორმათა შეფარდების დროს, იყოს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ახალი მიდგომა უფრო ეფექტურიანს გახდის უწყებას, შეამცირეს სასამართლოს მხრიდან მიკერძოების რისკებს და განსაკუთრებით გამორჩეულ ბიზნეს-დაცვებში შეიტანს მეტი გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ელემენტს. ბიზნესომბუდსმენის (ზოგან ფინანსური მმბუდსმენი) ინსტიტუტის საშუალებით, მომხმარებელსა და ბიზნესს შორის ურთიერთობების რეგულირება, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში კარგად აპრობირებული მეთოდია. მაგალითისთვის, ფინანსური მმბუდსმენი დიდ ბრიტანეთში 2000 წლიდან საქმიანობს და ასრულებს შუამავლის ფუნქციებს მოქალაქებსა და ბიზნესის ისეთ სექტორებს შორის, როგორებიცაა ბანკები, სამშენებლო და სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ჯგუფები, საფინანსო კომპანიები და სხვ. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი (ამიცუს ცურია) საქართველოში პირველად 2009 წლის 22 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა, რომელიც „საკონსტიტუციო სამართლნარმოების შესახებ“ საქართველოს კანონს შექმნობის მიზანით და კანონიერი გადატრისა და სანდო მართლმჯდარულების განხორციელებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი გახდებოდა. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთის მხრივ სასამართლოებმა მიიღონ დასაბუთებული, კვალიფიციური და კანონიერი გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ ამაღლდეს ნდობა ბიზნესთან დიალოგში, წარმოებული დავები დასრულდეს მორიგებით, ბიზნესომბუდსმენის პოზიტიური რეკომენდაციების საფუძველზე, გაჩნდეს ეფექტური მედიაციის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმდინარე რეფორმის პირობებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში შეიქმნა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეთა განხილვა კვლავ გაჭიანურებულია და მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩინათ სამართლებრივი დასაბუთების პრეტენზია, ასეთ მნიშვნელოვან პროცესში



მრგვალი მაგიდა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ახალი ინიციატივა - უნდა გასხვისდეს თუ არა წილები აუქციონის გზით

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ახალი საკანონმდებლო წინადაღებით, რომელიც პროფესიული საზოგადოებისა და ჯურიების ჩართულობით 2019 წლის მაისში იქნა განხილული, იურიდიული პირის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოსა და კომანდიტური საზოგადოების წილებზე საკუთრების უფლების შეენა, შესაძლოა, მხოლოდ აუქციონის გზით მოხდეს. იდეის მიზანია გარიგებების გამჭვირვალობა, წილის ღირებულების დადგენა რეალური საბაზრო ფასის მიხედვით, ლია ტრანზაქციების განხორციელება, სახელმწიფოს კეთილსინდისერება, პიზეს მეტი დაცულობა და ქონებების დათმობის შესაძლებლობების აღმოფხვრა. ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს საკითხებზე ფართო დისკუსიის უზრუნველყოფას, როგორც სამართლისა და ეკონომიკის სფეროს სპეციალისტებთან, ასევე პოლიტიკურ პარტიებთან და ხელისუფლების შტოებთან. სამუშაო შეხვედრაზე მოსმენილ იქნა იდეის მომხრეების და მონისალმდეგებების პროფესიები, პროფესიულ საზოგადოებრივი გაეცნა წინადადების მთავარ მიმართულებები, მიღებები და რეკომენდაციები. ორგანიზაციამ სპეციალისტების შეხედულებები მოისმინა საკანონმდებლო იდეის შემდეგ მიმართულებებსა და რეგულაციებზე:

1. იურიდიული პირის (შპს, კ) პარტნიორის მიერ წილის გაყიდვა ხდება მხოლოდ აუქციონზე გაყიდვის გზით.
2. აუქციონზე წილის გატანამდე, უნდა განხორციელდეს წილის შეფასება საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორულ საბჭოს სერთიფიცირებული აუდიტის მიერ, რომლის დასკვნის საფუძველზე დგინდება წილის ღირებულება. დაუშვებელია ერთდროულად წილის გატანა რამდენიმე აუქციონზე.
3. აუქციონის ვებ-გვერდის საბანკო ანგარიშზე გამარჯვებული პირის მიერ გადარიცხული თანხა წილის გამყიდველს უნდა გადაეცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წილზე საკუთრების უფლების შექნის დადასტურების შემდეგ.
4. ქონების შექნის შემთხვევაში, პირს მის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა/ბე ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. დამარცხებულ პრეტენდენტს მის მიერ გადახდილი ბეს თანხა უბრუნდება უკან აუქციონის დასრულებისა და პირის გამარჯვებულად გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადში.
5. გამარჯვებული პირის მიერ განსაზღვრულ ვადაში წილის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში, უქმდება ჩატარებული აუქციონის შედეგი და ცხადდება ხელახლი აუქციონი.
6. გამარჯვებული პირის მიერ თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში მასა და წილის მესაკუთრეს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
7. თუ გამოცხადებული აუქციონით გათვალისწინებულია განვადებით გადახდა, გამყიდველი ვალდებულად გადასცეს წილი მყიდველს ფასის სრულად გადახდამდე. წილის ფასის გადახდა აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ხდება წილის ანილ-ნანილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.
8. აუქციონის პირობებში შესაძლებელია წინასწარ გათვალისწინებული იყოს თანხის გადახდის სხვა წესი.
9. აუქციონზე გაყიდული წილის ახალი მესაკუთრე იკავებს ქველ მესაკუთრის ადგილს, ხოლო ქველი მესაკუთრე კარგას ყოველგვარ უფლებას ამ ქონებაზე.
10. თუ წესდებით გათვალისწინებულია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, ტარდება აუქციონი, სადაც მონანილობა შეუძლია ნებისმიერ პირს.
11. წილის აუქციონზე გატანის შესახებ ინფორმაცია აუქ-

მრგვალი მაგიდა

ციონის ადმინისტრაციამ უნდა მიაწოდოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს, რომელიც ვალიდულია წილის აუქციონზე გატანის დღიდან, აუქციონის დასრულებამდე არ განახორციელოს წილზე რეგისტრაცია.

12. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი წილი.
13. გამყიდველსა და მყიდველში შორის წარმოშობილი ურთიერთობა და დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, სახელმწიფოს სასარჯებლოდ, საჯარო უწყებებიდან მიღებული ცნობის თანახმად, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემული ქონებების, წილების, აქციებისა და ავტომობილების ოდენობამ შეადგინა 5634 უძრავი თუ მოძრავი წივთი. სამართლანობის აღდგენის იდეის ქვეშ აღმოჩნდნენ ბიზნესმენები, რომლებიც 2012 წლამდე, ასევე მოქმედი ხელყოფა, როგორც 2012 წლამდე, ასევე მოქმედი ხელისუფლების პირობებშიც მთავარ გამოწვევად რჩება. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მიზანია, სისტემურ დანაშაულებების პრევენციასთან ერთად, გამჭვირვალე გახადის თავად ბიზნეს-სუბიექტებს შორის გარიგება და სამართლებრივი ურთიერთობებიც, როთა თავიდან იქნეს აცილებული ნების საწინააღმდეგო მოქმედებები და გადაყვეტილებები. შედეგად:

- წილების გასხვისების მექანიზმი გახდება საჯარო, გამჭვირვალე, შექმნის კონკურენტუნარიან გარემოს, რაც გამორიცხავს მანიპულაციებს ან პოლიტიკური ჩარევის ფორმებს ისეთი საჯარო პროცესის მიმართ, როგორიც აუქციონია.
- სახელმწიფო მოხელეებს, მაღალჩინოსნებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა ჩაერიონ წილების გასხვისების საკითხებში, მათი ცდუნება, რომ გამოიყენონ თანამდებობა, გავლენა და წილები მესაკუთრებებს დაათმობინონ ან რეალურ ლირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასში გააყიდინონ ვერ რეალიზდება.
- იქმნება დაცულობის გარანტია, რომელიც დამოკიდებული არ იქნება სახელმწიფოში პოლიტიკური ძალის ცვლილებაზე.
- სახელმწიფოში იქნება მეტად სტაბილურობის განცდა, ადამიანებს აღარ ექნებათ შიში და მოლოდინი, რომ ერთ დღეს მის საკუთრებაში არსებული წილები, შესაძლებელია უკანონოდ სხვის ხელში არმოჩნდეს, მოუხდეთ უკანონოდ/ მათი ნების საწინააღმდეგოდ წილების გასხვისება, ჩუქება, დათმობა.
- გაიზრდება ინვესტიციების ოდენობა, ბიზნესმენები მეტი გატედულობით დაიწყებენ საქმიანობას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.
- შემცირდება ფიქციური გარიგებების ოდენობა, ფულის გათერების და მოგების დამალვის მიზნით დადებული გარიგებების ოდენობა.
- სახელმწიფოსათვის გადასახადის დამალვის შესაძლებლობა ქრება, შედეგად, სახელმწიფო მიღებს მეტ შემოსავალს.

ორგანიზაციის შეფასებით, დღეს არსებობს შესაძლებლობა, რომ წილების გასხვისებისას, მისი ლირებულება ბევრად ნაკლებ ფასად შეფასდეს, იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს წინაშე ნაკლები გადასახადი გადაიხადონ, კანონპროექტის მიღების შედეგად, აღნიშნული პრობლემა მოგვარდება, აუქციონზე წილების გასვლისას მისი ლირებულება დადგინდება აუქციონის მიერ, ვაჭრობის შედეგად, რაც იქნება მისი ლირებულების რეალური ფასი. წარმოდგენილი იდეის საჭიროება, ქვეყანაში სისტემური დანაშაულებების არსებობის გამო, მისი პრევენციის საუკთხო საფუძვლებს ქმნის. საკმარისი არ არის ოფიციალური განცხადებები, დეკლარირებული პოზიცია ან გაცხადებული პოლიტიკური ნება, რომელიც, ნებისმიერ დროს, შესაძლებელია, არამართლზომიერ ჩარევაში გადაიზარდოს. ორგანიზაცია საკანონმდებლო წინადადებაზე დისკუსიას აგრძელებს.





სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლე- ბის კანონპროექტს პოლიტიკური მხარდაჭერა სქირდება

„ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინა-დადება, რომელითაც სტუდენტები საშემოსავლო გა-დასახადისგან უნდა გათავისუფლდნენ, პარლამენტს არც 2019 წელს განუხილავს. მას შემდეგ, რაც კანონპროექტმა მიიღო განათლების კომიტეტის მხარდაჭერის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გადაინაცვლა, მაგრამ ორგანიზაციამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციის გამო, პარლამენტს წერილობით მიმართა და სთხოვა, საკანონმდებლო წინადადების განხილვა დაჩაქრებული წესით არ მომხდარიყო, გაგრძელებულიყო პოლიტიკური და სამართლებრივი დისკუსია პოზიციების დაახლოების მიმართულებით და წინადადებას მიეღო პარლამენტის მხარდაჭერა. პარლამენტმა ორგანიზაციის განცხადება მხედველობაში მიიღო და ამჟამად, წინადადების პოლიტიკური მხარდაჭერის მიმართულებით, კონსულტაციები გრძელდება.

ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადების თანახმად, ცვლილება უნდა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლს, რომელშიც დაზუსტებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ ფიზიკურ პირთა სახეები და მეორე ნაწილს უნდა დაემატოს (დ) - ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „დ) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, არაუმეტეს 25 წლისა, რომლის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს.“

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, ფინანსთა სამინისტროს პოზიცია არ პასუხობს მთავრობის პოლიტიკას და არ იმსახურებს სტუდენტების მხარდაჭერას. სამინისტროს 2018 წლის 1 ოქტომბრის წერილში, რომელიც ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობიდან მიიღო, აღნიშნულია შემდეგი: „აღნიშნული საგადასახადო შედავათის შემოღების შემთხვევაში, დამქირავებელ მენარმეს (საგადასახადო აგენტს) ეძლევა შესაძლებლობა შეიმციროს სახელფასო ხარჯი, იმგვარად, რომ დაქირავებულ სტუდენტს ხელფასი არ გაუზარდოს, რის გამოც შესაძლებელია ამ შედავათით ფაქტობრივად ვერ ისარგებლონ იმ პირებმა, ვისთვისაც ის არის დაწესებული. არასწორია შედავათის დაწესება ასაკობრივი ნიშნით და ბუნდოვნია საგადასახადო ადმინისტრირების განხორციელების მექანიზმები. კანონპროექტის მიღება შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ უკვე დაწესებულია გარკვეული შედავათები, კერძოდ სტრუქტურის გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, მიზანშენობილად არ მიგვაჩნია განსახილველი პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება“.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სა-




პანორამული

კანონმდებლო წინადადების მიმართ, სამინისტროს პოზიციას აქვს აღტერნატიული აზრი და საკითხი უნდა გადაწყვდეს ინსტიტუციური თვალსაზრისით. სამინისტროს, რომელიც ახორციელებს გადასახედების ადმინისტრირებას, შესაძლებლობა აქვს, პირს, რომელიც დააკმაყოფილებს საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წლის განმავლობაში, დაუჭვიოთოს საშემოსავლო გადასახადი, ხოლო წლის ბოლოს, მას განცხადების საფუძვლზე დაუბრუნდეს საშემოსავლო გადასახადის სახით დაქვითული თანხა. აღნიშნული ფინანსური მოდელი საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის არ არის უცნობი და ამ ფორმით, ადმინისტრირების შემთხვევაში, საკანონმდებლო წინადადების სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებული რისკი სრულად იქნება აღმოფხვრილი. სტიპენდიის გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან არ არის ორგანიზაციის მიერ პარლამენტისათვის შეთავაზებული საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული შელავათების საპირნონე, ვინაიდან სტიპენდიას იღებს სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო საკანონმდებლო წინადადება გაზიარებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, საშელავათო პირობა შეეხება ყველა სტუდენტს, რომელიც დააკმაყოფილებს შეთავაზებული ცვლილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, ორგანიზაციის მიაჩნია, რომ სწორედ ასაკობრივი ნიშნით შელავათის დაწესება წარმოადგენს კანონპროექტის მნიშვნელოვან ლირსებას, ვინაიდან თავიდან იქნეს არიდებული შელავათით პოროტად სარგებლობა. რაც შეეხება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას, საქართველო, როგორც ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა, ამ თვალსაზრისით ევროპული ქვეყანების პრაქტიკას უნდა ამკიდრებდნეს, სადაც მსგავსი მოდელი წარმატებით, უფრო მეტი სიკეთისა და უფლების სასარგებლოდ გადაწყდა. შესაბამისად, სახელმწიფომ სხვა ფუფუნების საგნეზზე უნდა თქვას უარი და არა წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების განხორციელებით მიუთითოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დანაკარგებზე.

ორგანიზაციამ საქართველოს პარალმენტს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით 2018 წლის 28 მარტს მიმართა, 2018 წლის 12 სექტემბერს გაიმართა საკანონმდებლო წინადადების საკომიტეტო განხილვა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში, რომელმაც წინადადებას მხარი სრულად დაუჭირა. ორგანიზაციამ სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების საკითხზე საკანონმდებლო წინადადების მომზადება სტატუსშეჩერებული სტუდენტების 2014 წლის ოქტომბრიდან პრობლემის პერიოდული კვლევის შემდგომ გადაწყვიტა. წინადადების პრეზენტაცია 2018 წლის მაისში შედგა საქართველოს უნივერსიტეტსა და 2018 წლის დეკემბერში - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, 2019 წლის წლის მარტში კი - კავკასიის უნივერსიტეტში. ფოტოზე სწორედ კავკასიის უნივერსიტეტში ჩატარებული შეხვედრაა წარმოდგენილი. პარლამენტი „ახალგაზრდა ადვოკატების“, სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების წინადადების სახით, უკვე მეტუთე საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს.





საქართველოში, ერთზე მეტი სასწავლო გრანტის მიღების აკრძალვა, შესაძლოა, გაუქმდეს

საქართველოში, სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის შეზღუდვა, შესაძლოა, გაუქმდეს და ერთი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით, შესაძლოა სამაგისტრო გრანტიც მხოლოდ ერთხელ აღარ გაიცეს. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი, რომლის მიხედვითაც, განათლების სფეროში სასწავლო გრანტების გაცემის წესის არათანაბრობის საკითხსა და ამ კუთხით, განათლების უფლების სრულ ხელმისნავდომობაზე საკითხს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისი მუხლების საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად გამოცხადება. დღეს მოქმედი წესის თანახმად, „დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა.“ „მაგისტრანტი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდება მხოლოდ ერთხელ, ერთი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მიხედვით.“ „დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა. მაგისტრანტი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდება მხოლოდ ერთხელ, ერთი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით.“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართვე-

განათლება

ლოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. ამავე მუხლის მე—2 პუნქტის მიხედვით, „მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. განათლების უფლება კონსტიტუციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ადამიანის პიროვნული განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიზნების აღსასრულებლად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას განსაკუთრებით წარჩინებული შედეგების მქონე პირებს, მიანიჭოს უმაღლესი განათლების სტადიაზე დაფინანსების მიღების შესაძლებლობა. განათლების წახალისების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სწავლის საფეხურებზე აწესებს სასწავლო გრანტს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სადაცონორმების შესაბამისად, პირს შეზღუდული აქვს უფლება და შესაძლებლობა, რომ უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე სახელმწიფო გრანტი ერთზე მეტად მოიპოვოს. აღნიშნული დანაწესი მოდის წინააღმდეგობაში როგორც სარჩელში მითითებულ კონსტიტუციურ ნორმებთან, ასევე იმ კანონების მიზნებსა და ამოცანებთან, რომელიც უმაღლესი განათლების წესებსა და სტანდარტებს ადგენენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, აღნიშნული ნორმების არაკონსტიტუციურობის უმთავრესი არგუმენტი თავად განათლებული და კონკურენტუნარიანი საზოგადოების შექმნის აუცილებლობაა. ამისათვის, სახელმწიფომ ის დამატებითი სახსრები უნდა გაიღოს, რაზეც, სადაცონორმების ასეთი ამკრძალავი შინაარსის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა ვალდებული. ეს ნორმები აფერხებს და ზღუდავს პირის შესაძლებლობას, საკუთარი უნარებიდან გამომდინარე, არაერთჯერადად მიიღოს უმაღლესი განათლების მიღებიდან გამომდინარე სიკეთე, საკუთარი შრომისუნარიანობისა და მონძომების შემთხვევაში. მაგალითისთვის, თუკი პირი დაინტერესებულია სამართლით და განათლება მიღებული აქვს ისტორიის მიმართულებით, სახელმწიფო არ უნდა ზღუდავდეს მის შესაძლებლობას, ისწავლოს იმავე, ბაკალავრიატის საფეხურზე, მისთვის საინტერესო მიმართულებით, რაც მის ცოდნასა და უნარებს, როგორც სამართლის, ასევე ისტორიის მიმართ გაცილებით ღრმასა და ხელშესახებს გახდიდა და კონკრეტულ დარგში გამორჩეულ ცოდნას მიანიჭებდა. ამას გარდა, არსებობს დარგები, რომელთა შესწავლის შემთხვევაშიც სტუდენტი, შესაძლოა, სამომავლოდ გაცილებით პერსპექტიული იყოს და მას საკუთარი უნარების წარმოჩენაში სწორედ უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ორი ხარისხი დაეხმაროს.





საქართველოს შემთხვევაში, განათლება არის კონსტიტუციით პირდაპირი დაცვის ობიექტი. იგი კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულია ძირითად უფლებად, მასასადამე, იგი უნდა ჩაითვალოს, როგორც ფუნდამენტური უფლება. ამას გარდა, განათლების უფლება განმარტებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლით, რომლის მიხედვით, „არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.“ აღნიშნული დამატების კონვენციაში გაჩენის შემდეგ, სახელმწიფოებრივი ვალდებული არიან, ეფექტინი განათლება, ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გახადონ. სხვა სიტყვებით, ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება, არსებული დროისათვის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაზე შეძლონ წვდომა, საკუთარი უნარებიდან გამომდინარე (Mürsel Eren v. Turkey, § 41). საქართველოს, როგორც ევროპული საბჭოს წევრს, აქვს ვალდებულება შიდა რეგულაციები, ევროპული კონვენციის დათქმების შესაბამისად მოაწესრიგოს, თუმცა, სახელმწიფოს ვალდებულება, პირველ რიგში, კონსტიტუციურად გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების მაქსიმალურად დაცვაა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, განათლების უფლება გულისხმობს, მის მისაღებად არა მხოლოდ საჭირო პირობების შექმნას, არამედ, არსებული დროისათვის, ყოველი შესაძლებლობის გამოყენებაზე ხელშეშლის აღკვეთას ან თავის შეკავებას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ქართულ რეალობაში, საკუთარი უნარების რეალიზების შედეგად, სრულიად შესაძლებელია პირი მოხვდეს უმაღლესი განათლების ნებისმიერ დაწესებულებაში, მოიპოვოს სასწავლო გრანტი საკუთარი ცოდნისა და უნარების რეალიზების შედეგად. მიუხედავად ამისა, მისი უფლება, გრანტის მეორედ მიღების თვალსაზრისით არის შეზღუდული. შესაბამისად, პირი კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე ხელმისაწვდომობას და მიმდინარე პერიოდისათვის დაწესებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მიღებაზე წვდომას. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის აზრით, შეზღუდვა არ არის ლეგიტიმური და ხდება განათლების მიღების უფლებაში ჩარევა. ამდენად, აუცილებელია უფლება შეზღუდული სტუდენტებისათვის არსებული შეზღუდვების მოხსნა და მათთვის მეტი განვითარების შესაძლებლობის გადაცემა, რაც, მხოლოდ და მხოლოდ სადაც ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად იქნება შესაძლებელი. ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკონსტიტუციო სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის ივლისში მიმართა. ორგანიზაციამ სარჩელი მოამზადა საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების: ციცი ჭელიძის, სოფიკო ჯიჭონაიას, მარიამი ბარსონიძის, ანა გაგუას, მარიამ შათირიშვილის, სოფიკო თვალაძეიშვილისა და თამარი სტეფანიშვლის აქტიური ჩართულობითა და მათთან ერთობლივი თანამშრომლობით. საკონსტიტუციო სარჩელზე ორგანიზაციის ინტერესებს „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულების იურისტი, გიორგი ლაბაძე წარმოადგენს.



გიორგი პაპუაშვილმა სადავო სახლი პირვანდელ მესაკუთრეს - როლანდ ბლადაძეს დაუბრუნა

სამართლიანი შედეგით დასრულდა 15-წლიანი ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილსა და მოქალაქე როლანდ ბლადაძეს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, როლანდ ბლადაძემ ქალაქ ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე მდებარე ერთადერთი საცხოვრებელი სახლი დაიბრუნა. როლანდ ბლადაძე დღეს ქონებაჩამორთმეული აღარ არის. როლანდ ბლადაძე, დღეს ჩამორთმეული სახლის ერთადერთი და ნამდვილი მესაკუთრეა. აღნიშნულის შესახებ საჯარო განცხადება ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველმა, არჩილ კაიკაციშვილმა ქ. ბათუმში, როლანდ ბლადაძის ოჯახის წევრებთან ერთად, დაბრუნებულ სახლთან გააკეთა.

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილება არის ღირსეული, ქმნის მორალურ-სამართლებრივ ჩარჩოს, რომლითაც სრულდება მძიმე ისტორია და იქმნება ახალი ურთიერთობები.

„გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილება სწორი სამოქალაქო პოზიციაა - სასამართლოს მიერ დავის განხილვის დასრულების შემდეგაც და მის მიუხედავად, მხარეებმა შეძლეს საკუთარი პოზიციების და მოსაზრებების დახლოება, საკითხის გადაწყვეტა, რაც თითოეული მხარის ინტერესს სრულდა აქმა-ყოფილებს. ჩვენი სურვილია განიმარტოს საკითხიც, რათა არ დარჩეს არავითარი ბუნდოვანება - ბუნებრივია, ჩვენ საქმის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო დავის მიმდინარეობისას, ვერ ავცდით გიორგი პაპუაშვილის კრიტიკას. ყველა კომენტარი, ახალგაზრდა ადვოკატები

რომელიც გაკეთდა, ემსახურებოდა მხოლოდ სასამართლო დავაში მხარის ინტერესების დაცვას და მიზნად არ ისახავდა გიორგი პაპუაშვილის რეპუტაციის შელახვას. შესაბამისად, თუკი რომელიმე განცხადებით შეიძლალა გიორგი პაპუაშვილის საქმიანი რეპუტაცია, გამოვთქვამთ წუხილს, რაც არ ყოფილა მიზანმიმართული ქმედება, რაც მეტნილად განაპირობა საქმის ისტორიამ, მაღალმა საჯარო ინტერესმა“ - განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხსადა საქმის ირგვლივ მხარდაჭერისთვის საზოგადოებას, სამოქალაქო ჯგუფებს, უურნალისტურ კორპუსს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დავის მონაწილე მხარეებს, მათ წარმომადგენლებს და თავად როლანდ ბლადაძეს პროფესიული ნდობისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში, სახელმწიფოსთან - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და 2007-2016 წლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონების საქმეზე, დავა სამშერივი მორიგების აქტის საფუძველზე, 2018 წლის 11 ივნისს დასრულდა, რასაც საკასაციო სასამართლომ უწოდა ისტორიული შეთანხმება და ფაქტი (მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე მოსამართლე), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15 მარტის განჩინება (მოსამართლეები: მერაბ ლომიძე (თავმჯდომარე), თეა ძიმისატარაშვილი, ამირან ძაბუნიძე) და



თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება (მოსამართლე: დიანა ფარქულაძე), რომლითაც როლანდ ბლადაძის მოთხოვნები არ იქნა დაემაყოფილებული. სასამართლოს ახალი განჩინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება, სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, მოემზადებინა და საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 262.39 კვ.მ უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ნინო უვანიას (ყოფილი კეკელიძე) ქ. N72-ში, მე-3 სექცია, მე-12 სართული, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემოდა როლანდ ბლადაძეს. სახელმწიფო ყველა ვალდებულება მოქალაქის წინაშე პირნათლად შეასრულა - 2018 წლის 3 დეკემბერს, როლანდ ბლადაძე გახდა ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე.

მხარეებმა საქართველოს უზენაესს სასამართლოში დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, გააგრძელეს მოლაპარაკების პროცესი, დაახლოეს საერთო ინტერესები, რომლის შედეგადაც, გიორგი პაპუაშვილმა როლანდ ბლადაძეს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დაუთმო ბათუმის საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე.

საქართველოს უზენაესს სასამართლოში საქმეზე სხდომები 5 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინებით, საქმე პრეცედენტული დავის სტატუსით, დასაშვებად ცნო. საქმიდან 2017 წლის 20 ივნისა და 8 სექტემბერს თვითაცილება განაცხადეს მოსამართლეებმა: მაია ვაჩაძემ, ნუგზარ სხირტლაძემ და პაატა სილაგაძემ. მანამდე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმიდან აცილებულ იქნა განმხილველი პალატა მოსამართლეების: გიორგი გოგიაშვილის, ნინო ქადაგიძისა და მანანა ჩოხელის შემადგენლობით. როლანდ ბლადაძის საქმე, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, 2004-2018 წლებში, სულ 42 მოსამართლემ განიხილა.

2014 წლიდან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, საქმეზე ადვოკატირების პროცესი „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ დაიწყეს. როლანდ ბლადაძის ინტერესების დაცვა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციმევილმა შეძლო, რომელმაც საქმეს უწოდა - სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ.



მამუკა ხაზარაძე – პოლიტიკოსი ლისის ტბის წართმევის საქმეში

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2019 წელს, არაერთი განცხადება გააკეთეს ლისის ტბის წართმევის საქმეზე მამუკა ხაზარაძის ბიზნესპარტნიორ რამაზ ახვლედიანის დარღვეული უფლების, პროკურატურისა და სასამართლოს, ერთ შემთხვევაში, სამართლიანობის აღდგენის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებასა და უმოქმედობაზე. მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც გადაწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა დაწყო, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ლისის ტბის საქმეზე საჯარო გაკეთებული განცხადებები ხელისუფლებიდან მომდინარე ირკესტრირებულ შეტევას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, მამუკა ხაზარაძე შეეცადა შეენიშბა მის მიმართ არსებული სამართლებრივი შეკითხვები, რომელიც ლისის ტბის წართმევის საქმეზე არსებობს და ერთგვარი იმუნიტეტით, თითქოსდა ტაბუდადებულად გამოაცხადა რამაზ ახვლედიანის მოთხოვნები, რასაც წლების განმავლობაში სასამართლოები განიხილავს. საზოგადოებას მოქსენება, რომ 2014 წლიდან, სწორედ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ჩართულობის შედეგად, გამოქვეყნებული კვლევის პირობებში, საჯარო გახდა ლისის ტბის წართმევის საქმის დეტალები, გამოიყვეთა მამუკა ხაზარაძის იურიდიული პასუხისმგებლობა და არაერთილსინდისიერება, სხვადასხვა მოთხოვნით, საქმები წარიმართა სასამართლოში, დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით 2012 წლიდან რამაზ ახვლედიანმა მიმართა პროკურატურას და ეს იმ პირობებში, როდესაც მამუკა ხაზარაძე დაზარალებული პარტნიორის ყველა საჯარო გამოსვლას და განცხადებას, სრული იგნორირებით პასუხობდა. ხაზარაძის გავლენები, ფაქტიორივად, შესამჩნევი აღმოჩნდა სასამართლოშიც და პროკურატურაშიც, ვინაიდან რამაზ ახვლედიანის საქმემ წინსვლა ვერ განიცადა და აღნიშნეულის შესახებ ორგანიზაციამ არაერთი განცხადება გააკეთა, არამხოლოდ 2019 წელს.

2019 წლის თებერვალში, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება ლისის ტბის წართმევის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე, სადაც სასამართლომ საქმე არსებითი განხილვისთვის, დასაშვებად ცნო. სწორედ სასამართლოს ამ პროცესუალურ მოქმედებას მოჰყვა მამუკა ხაზარაძის საჯარო განცხადებები, შემდეგ - „ევროპული საქართველოს“ პოლიტიკური განცხადება, მამუკა ხაზარაძის თითქოსდა დასჯის თაობაზე. შექმნილი ისტერიკის საპირნოება, 2019 წლის მარტში, რამაზ ახვლედიანი შეხვედა მედიას და განაცხადა, რომ სამართლებრივი პროცესის პოლიტიკურ პროცესად ქცევა იყო ყოვლად მიუღებელი. სისტემურ დანაშაულზე იმგვარი მსჯელობა, თითქოსდა ლისის ტბის საქმეზე, არავითარ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია, არ შელახულა

რამაზ ახვლედიანის საკუთრების უფლება და პიზნეს ინტერესები. ასეთი მსჯელობის ავტორი პოლიტიკოსები და სამოქალაქო ორგანიზაციები წდობას არ იმსახურებს. მათი რიტორიკა ძირს უთხრის ქვეყანაში კანონის უზენასობის, სამართლიანობისა და საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის იდეას, რაც ძალიან საშიშია ჩვენი საზოგადოებისთვის.

„დღეს მამუკა ხაზარაძის მიმართ წარმოებული პროცესის პარალელურად, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია მიზანიმართულად ცდილობს ლისის ტბის წართმევის ეპიზოდი მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ ხელისუფლების შეტევად წარმოაჩინოს, საზოგადოებას მიაწოდოს საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავებზე სრულიად არარსებული და ბუნდოვანი ინფორმაცია, რაც საერთო მდგომარეობით, არ ემსახურება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზანს და ლისის ტბის წართმევის საქმეზე დოკუმენტურად დადგენილ სიმართლეს წარმოაჩენს ყალბი მონაცემებით. სწორედ მოქმედ ხელისუფლების პირობებში, მამუკა ხაზარაძის ბიზნესპარტნიორ რამაზ ახვლედიანი, საქართველოს პროკურატურიდან ვერ აღწევს დაზარალებულად ცნობას, ხოლო საერთო სასამართლოები სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მხოლოდ ხანდაზმულობის ვადების დარღვევას ასახელებს“ - აღინიშნა განცადებების.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დღესაც ცალსახად აცხადებს, რომ უფლებას არ მისცემს არც ერთ პარტიას, პოლიტიკოსს, სამოქალაქო ორგანიზაციას, ექსპერტს თუ უზრნალისტს, ლისის ტბის წართმევის საქმეზე საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ორგანიზაციას მიაჩინა, რომ საჭიროა ყველა ჯგუფთან დამატებითი კონსულტაცია, თუკი ლისის ტბის წართმევის საქმეზე რომელიმე დაინტერესებული მხარე გამოითვალის სურვილს შეხვედრაზე და რეალური ინფორმაციის მიღება დოკუმენტურად გახდება შესაძლებელი. როგორც მამუკა ხაზარაძეს, ასევე ბადრი ჯაფარაიძეს, კველაზე კარგად მოეხსენებათ ბიზნესპარტნიორ რამაზ ახვლედიანთან დაკამაყოფილებით არსებული სამართლებრივი ისტორია და ეს მათი მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობცაა. ჩვენ, ბოლო თახი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამართლებრივი ფორმებით ვცდილობთ რამაზ ახვლედიანის კანონიერ ინტერესები აღდგენას და „ახალგაზრდა ადვოკატები“ გააგრძელებს ამ პროცესს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, საკუთარი აპოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარ, რამაზ ახვლედიანის წინაშე უპირობო სამართლიანობის აღდგენით.



ლისის ტბის საქმეზე, პროკურატურა მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით დაკითხვას შეგნებულად არ ახდენს

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, საქართველოს პროკურატურას ლისის ტბის წართმევის საქმეზე მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით გამოკითხვის მოთხოვნით, 2019 წელს, კიდევ ერთხელ მიმართა და აღნიშნა, რომ 2012 წლის დეკემბრიდან, ქონებაჩამორთმეული რამაზ ახვლედიანი, მმართველი პოლიტიკური პარტიის უკვე მეზუთე მთავარი პროკურორიდან ამაოდ მოითხოვს დაზარალებულად ცნობას და საქმეზე შეჭმარიტების დადგენას, განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები - არასაკმარისია და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, არ ხდება საქმის გამოძიებით რეალური დაინტერესება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოითხოვს, საგამოძიებო უწყებამ დაკითხოს რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე, რომელიც ქონების დათმობის პროცესში, წარმოადგენდა რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს. მან ამ პროცესში დუმილი ამჯობინა და გაურიგდა მიხეილ სააკაშვილს და მამინდელ ხელისუფლებას და რამაზ ახვლედიანს განცხადა, რომ თავი სამართლებრივი სამუალებებით დეცვა - „კონსტიტუცია დაიცავდა“. მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით დაკითხვით უნდა დადგინდეს, თუ რა ინფორმაციას ფლობდა ბიზნეს-მოწმილე და პარტნიორი იმ პროცესის შესახებ, რომელიც ქონების დათმობის პერიოდს უკავშირდება. მამუკა ხაზარაძის დაკითხვა ემსახურება მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესს, ვინაიდან რამაზ ახვლედიანის მიმართ ქონების დათმობის შემდეგ, პრეზიდენტის განკარგულებით, იგივე საპროექტო პირობებით, დათმობილი ქონების მესაკუთრე სწორედ მამუკა ხაზარაძე და მისი კომპანიები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, მამუკა ხაზარაძის დაკითხვა საქმის ყოველმხრივ შესწავლისა და გამოძიებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია. ამასთან, საქმეზე დაკითხული არ არიან საჯარო მოხელეები, რომლებმაც ქონების ნების საწინააღმდეგოდ დათმობაზე, რამაზ ახვლედიანის იძულება განახორციელეს. მხარემ აღნიშნული პირების დაკითხვის მოთხოვნით, პროკურატურას ჯერ კიდევ 2017 წლის 13 თებერვლის განცხადებით მიმართა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოითხოვს, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს 2006 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანის ფინანსურ პოლიციაში დაბარების ფაქტს, სადაც ბიზნესმენს დააწერინეს განცხადება ლისის ტბის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის თაობაზე. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ რამაზ ახლედიანი იძლებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივნისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა - ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა.

მოსამართლე ვაჩაძის გადაწყვეტილება ძირს უთხრის ჩვენი საზოგადოების ისტორიულ მესსიერებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსამართლე მაია ვაჩაძის თავმჯდომარებით, ლისის ტბის წართმევის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის განკარგულება კანონიერ ძალაში დატოვა და რამაზ ახვლედიანის მიერ ნების საწინააღმდეგოდ დათმობილი 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა - ნაგებობები ბიზნესპარტნი-

ლისის ტბის საქმე

ორ მამუკა ხაზარაძის კომპანიის „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ მფლობელობაში აღიარა.

სასამართლომ რამაზ ახვლედიანის სარჩელი ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილა და საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ პრეზიდენტის განკარგულება დაინტერესებული პირის მხრიდან უნდა გასაჩივრებულიყო გამოცემიდან 1 თვის ვადაში. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ სარწმუნო არ არის სისტემური დანაშაული - არ დასტურდება იძულების განგრძობადობა, ვინაიდან რამაზ ახვლედიანისთვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გარკვეული პირობებით გადაცემა განხორციელდა სწორედ იმავე პრეზიდენტის მიერ იმავე ხელისუფლების მმართველობის პირობებში ქონების დათმობის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების შედგენამდე დაახლოებით 4 თვით ადრე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ მიმართული მართლმსაჯულების აქტია, თავდაყირა აყენებს სადავო საკითხებზე არსებულ სამართლებრივ ჩარჩოს, ნარმოადგენს შერჩევითი სამართლის თვალსაჩინო მაგალითს და არ არის დაცლილი მოსამართლებისთვის ნაკარნახევი პოლიტიკური გავლენებისგან.

ერთის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება კონფლიქტში მოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებასთან (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე) და მეორეს მხრივ ავტორი მოსამართლების მიერ 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებასთან (საქმე: ბს-236-234 (კ-16)), სადაც სასამართლომ ხანდაზმულობის ვადების ათვლა დაუკავშირა პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებისა და კომპეტენტური ორგანოსადმი მიმართვას ფაქტს, ხოლო სადავო აქტის გასაჩივრებისთვის განსაზღვრა არა მისი გამოცემის თარიღი, არამედ ჩაბარებიდან ერთთვიანი ვადა.

მოსამართლე მაია ვაჩაძის სამართლებრივი დასკვნები გაუმართლებელი და დასაგმობია პოლიტიკური კონტექსტის იმგვარი შეფასებით, რამაც მთლიანად გაამართლა მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავრობის პირობებში, გამორიცხა საქართველოში სისტემური დანაშაულების არსებობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულების სამართლებრივი შეფასების განხორ-

ციელებისთვის ესაჭიროება რამაზ ახვლედიანის მიერ მტკიცებულებით გამყარებული ობიექტური ფაქტობრივი მოცემულობის წარდგენა და აღნიშნავს, რომ რამაზ ახვლედიანი მხოლოდ პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივნისის განკარგულებით წავისრი ვალდებულების შესრულებაზე, აგრეთვე, მის მიმართ შესაბამისი უწყებების მხრიდან სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისა და პროკურატურაში მის ერთჯერად დაბარებაზე მითითებით ცდილობს დაადასტუროს მისთვის ქონების ჩამორთმევის ფაქტი, თუმცა ამგვარი იძულების დადასტურების შემთხვევაშიც კი, საქმის მასალებით არ დასტურდება იძულების განგრძობადობა, კერძოდ, ის, თუ რა მომენტამდე და რა ღონისძიებებით ხორციელდებოდა რამაზ ახვლედიანის ნებაზე ზემოქმედება. სასამართლო ამბობს - ყურადღებ გარემოებს წარმოადგენს ის, რომ რამაზ ახვლედიანისთვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გარკვეული პირობებით გადაცემა განხორციელდა სწორედ იმავე პრეზიდენტის მიერ იმავე ხელისუფლების მმართველობის პირობებში, 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების შედგენამდე დაახლოებით 4 თვით ადრე.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ არსებითად შელახა რამაზ ახვლედიანის უფლებები და სადავო გარემოებების მიმართ არაერთი გამრუდებული დასკვნა წარმოადგინა - თითქოსდა რამაზ ახვლედიანი არასდროს არ ყოფილა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული სადავო მინის ნაკვეთის მესაკუთრე, აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება და არ მომხდარა უძრავი ქონების საფასურის გადახდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ყოველივე ეს წარმოადგენს საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების გარეშე მსჯელობას, რაც გადაწყვეტილების სახით, ქმნის სრულიად წარმოუდგენელ მოცემულობას. ამიტომაც, შეუძლებელია, გადაწყვეტილებას გააჩნდეს ოდნავი კანონიერების პრეტეზია. მეტიც, მორალურ საფუძვლებსაც მოკლებულია სასამართლოს მსჯელობა მიმის შესახებ, რომ რამაზ ახვლედიანს სადავო ქონებაზე არ გააჩნდა საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“, რაც გონივრულ კრიტიკასაც ვეღარ უძლებს. ქართულმა სასამართლომ რამაზ ახვლედიანს სა-



მართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა მოუსპო. გადაწყვეტილება არ ატარებს საქმეზე და-მოუკიდებელი მოსამართლების ხელნერას. ექცევა პოლიტიკური მოვლენების ერთგვარ კონტექსტში და შეგნებულად, მსჯელობის არაერთ მონაკვეთში, მა-მუკა ხაზარაძის დასახელებასაც გაურბის. მოსამარ-თლეები ხაზარაძეზე საუბრისას იყენებენ ტერმინს - „ბიზნეს პარტნიორს“.

მოსამართლე ვაჩაძის გადაწყვეტილება ძირს უთ-ხრის ჩვენი საზოგადოების ისტორიულ მეხსიერებას და ამრუდებს სიმართლეს, რაც წინა ხელისუფლე-ბის არჩევნებში მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ეს გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ხელისუფლების პირობებში, შეიძლება ახალი-სებდეს სისტემურ დანაშაულებებს, ქონებების ნების საწინააღმდეგოდ დათმობის ფაქტებს. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, ეს არის უზენაესი სასამარ-თლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ერ-თმინშვენელოვნად მსჯელობს წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესისთვის, მოქალაქეებისთვის, საქ-მიანი ადამიანებისთვის ქონებების დათმობისა და წართმევის შემთხვევებზე და მთლიანად უარყოფს სისტემური დანაშაულებების არსებობას.

ლისის ტბის წყალსარგებლობის ლიცენზია კვლავ რამაზ ახველდიანს დაუბრუნდა

სასამართლომ ლისის ტბის წყალსარგებლობის ლი-ცენზია 2024 წლამდე რამაზ ახველდიანის ექსკლუ-ზიურ უფლებად აღიარა. ამ ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცე-დენტული, ისტორიული და ჭეშმარიტად სამართლი-ანობის აღდგენის აქტია. საერთო სასამართლოების სისტემაში, წინამდებარე დავა პირველი შემთხვევაა და სასამართლოს გადაწყვეტილები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამ-კვიდრებას. კანონმა ლიცენზიის სახეობა გააუქმა, სახელმწიფომ კანონის მოთხოვნამდე წარმოშობილი სამართალ-ურთიერთობა არ ცნო, სასამართლოს კა-ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი, დღეს



ლისის ტბის საქმე

უპირობოდ იქნა დადგენილი, რომ ბიზნესმენ რამაზ ახლედიანის კომპანია „თბილისის ტურისტულ-გამა-ჯანსალებელი კომპლექსი“ ლისის ტბა“ ერთადერ-თია, რომელიც 2024 წლამდე ლისის ტბის სპეცია-ლური წყალსარგებლობის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი იქნება.

მოცემულ შემთხვევაში, რამაზ ახვლედიანმა სასა-მართლო გზით დაამტკიცა, რომ კომპანიის მიმართ 2024 წლამდე სახელმწიფოსთან გაცემული ლიცენ-ზიიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები, სამართალ-ურთიერთობა მოქმედია და არც ერთ კა-ნონს, არც ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს, იგი არ გაუუქმებია. ლიცენზია თავისი არსით წარმოადგენს უფლებაალმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივ აქტს, რომელიც კომპანიას ანიჭებს უფლებას და სარგებელს. მისი გაუქმება უნდა მოხდეს ან ადმი-ნისტარციული აქტით ან მის გაუქმებაზე პირდაპირ უნდა არსებობდეს მითითება კანონში. ზოგადი ადმი-ნისტარციული კოდექსით, დაუშვებელია კანონსაწი-ნააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესე-ბულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. სასამართლომ სწორედ აღნიშნული დასაბუთება და მიღებომები გა-იზიარა. ამასთან, გაიზიარა სადაც საკითხის გადაჭ-რისთვის „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები, რომელიც განმარტავს წყალმოსარ-გებლის სტატუსს და ვალდებულებებს, რასაც რამაზ ახვლედიანის კომპანიის მიმართ გაცემული ლიცენ-ზიის შინაარსი იმეორებს და მოქმედია. საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ვინით-დან წყლის რესურსების მართვის სფეროში უფლე-ბაალმჭურველი აქტების გაცემის უფლებამოსილება შეჩერებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის მიღებამდე და ამ ეტაპზე, წყალსარგებლო-ბის ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილების არარ-სებობა კეთილსინდისიერი მმართველობის პრინცი-პიდან გამომდინარე, არ შეიძლება გახდეს კანონით დადგენილი წესითა და კონკრეტული ვადით სახელ-მწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულე-ბაზე უარის თქმის საფუძველი.



TBC ბანკი, პირველ რიგში, ნდობის ინსტიტუტის და იქ სადაც სცემენ, ნდობაზე საუბარი ზედმეტია

**არასამთავრობო ორგანიზაციები TBC ბანკისგან საზოგადოებისთვის
ბოლიშის მოხდას ისევ მოითხოვს**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ TBC ბანკის წინააღმდეგ დაზარღულებული მოქალაქე ზევიად გოგიაშვილის სარჩელის მიმღებაში მიღო, რომელიც დამდგარი მორალური და მატერიალური ზანის სახით, TBC ბანკისგან 30 000 ლარის ანაზღაურებას მოთხოვს. დავა ამჟამად წარმოებაშია და საქმის ბეჭდს 2020 წელს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება განსაზღვრავს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, საზოგადოების პირდაპირ შეურაცხოფის წარმოადგენს ერთ-ერთი წარმატებული ბანკის მენეჯმენტის პოზიცია, რომელმაც ფორმალური წულილის გარეშეც დატოვა ბანკის სესხების ექსპერტის მხრიდან მოქალაქე ზევიად გოგიაშვილის ცემის ფაქტი. ორგანიზაცია საზოგადოებისთვის საჯაროს გახდის ბანკის წარმომდგენლისა და მოქალაქის ფიზიკური დაპირისპიტობის ამსახველ ექსპლუზიურ ვიდეო-მასალას, რომლითაც საჩინოება მოქალაქეს მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელების პროცესი, სარისხი, განზრახვის ფარგლები. მასალით დაინდება, რომ ბანკმა ფიზიკურ ძალადობამდე არავითარ ზომები არ მიიღო ფაქტის თავიდან აცილებისთვის. შემთხვევა ეხება 2019 წლის 7 ივნისს, ქ. თბილიში, მეტროსადგური ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრ „გლდანი მოლში“ მდგბარე „თიბისი ბანკში“ ყოფნისას, ზევიად გოგიაშვილის მიმართ ფიზიკურ შეურაცხოფის მიყენებას ფაქტს. თბი ბანკის სესხების ექსპერტმა მარჯვენა ხელის მუშატი ძლიერად დარღვეული მოქალაქეს სახის არქო, კერძო, ცხვრისის მიიღომო, რამაც გამოიწვია ცხვირის არქო მოტეხილობა. 2019 წლის 14 ივნისს, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროცენტურის დადგენილებით, მოსარჩელე დაზარღულად იქნა ცნობილი.

საქმეზე წარმოდგენილი მასალების ერთობლიობით, დგინდება, რომ მოსარჩელე ალექსანდრე ალადაშვილის სახელის კლინიკას მიმართ ქალასა და სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობით. პაციენტი კლინიკაში მოთავსდა თვითდინებით. მოსარჩელის მიმართ მოხდა ოპერაციული ჩარევა - სახის ძვლების მრავლობით მოტეხილობის ჩანაწერების ჩანორედებით, მოხდა და უცხო მასალის გამოყენებით, სხვა რეკონსტრუქციული ოპერაციები ყებეზე. მოსარჩელე, მიღებული ფიზიკურ დაზიანებების გათვალისწინებით, დღემდე აგრძელებს სარეაბილიტაციო კურსს. შესაბამისად, მიმართავს სასამართლოს და მოთხოვს მიყენებული მორალური და მატერიალური ზანის ანაზღაურებას.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქმეზე სის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, შეიცვალა მუხლის კვალიფიკაცია და ამჟამად მიმდინარეობს გამოძირება საქართველოს სასხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრის ნაკლებად მძიმე დაზიანებას ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით (ისჯება გამასწორებელი სამუშაოთა ვადით თვრამეტ თვემდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან

ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამწლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ორგანიზაცია განმარტავს, რომ ზევიად გოგიაშვილმა საგამომებო მოქმედებების პროცესში ამოიცნო თავმდამსხმელი. ამასთან, არაოფიციალური ინფორმაციით, ბანკის მხრიდან დასაქმებულთან შეწყვდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. გამოძიებამ დაკითხა დასახელებული ფილიალის მენეჯერი, თუმცა უცნობია, დაიკითხა თუ არ თავად თავმდამსხმელი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ზევიად გოგიაშვილის საქმეზე რეკების მიზნით, უკვე მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს ბიზნესმბუდსმენს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქე ინტეგრიტეტის თავმჯდომარეს. ორგანიზაციამ დაზარღულებული უფლებების დაცვის ინტერესი ჯერ კიდევ 2019 წლის 7 ივნისს გამოთხვა, რა დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება და ბანკების მოუწოდეს საზოგადოებისთვის ბოლიში მოეხსადა. „ბანკი, პრეველ რიგში, ნდობის ინსტიტუტია და იქ სადაც სცემენ, ნდობაზე საუბარი ზედმეტია“ - განაცხადეს სამოქალაქე იორგანიზაციის წევრებმა.

„კატეგორიულად მოვითხოვთ, „თიბისი ბანკის“ უმაღლესმა მენეჯმენტმა დააფიქსიროს პოზიცია და ბოლიში მოუხადოს საზოგადოების აღმოჩეული ფაქტის გამო. ბანკის ხელმძღვანელობის სრულად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „თიბისი ბანკმა“ მომხდარის გამო საზოგადოებას ბოლიში მოუხადოს და უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს ბოლიში იყოს გულწრფელი! ამ ფაქტზე ბანკის დუმზილ დააპაული თანამობანილების ტოლდასა, რაც შეიძლება ჩაითვალოს მართლწერიგის წინააღმდეგ მიმართულ აქტად. დანაშაულში თანამონანილებას უთანაძრდება ბანკის ხელმძღვანელებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების უზარობაც, მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები და მორიობ რეპუტაციული კრიზისი. მოცემულ შემთხვევაში, არც დისკაბლინური წარმოება უფლებაბარი ბანკების შემთხვევის მიმღები პირების მიმღები პასუხი. ბანკს აქვს განსაკუთრებული კონსორტული მომთხვეული მომთხვეული ბანკების პასუხისმგებლობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მომხმარებლებთან და კლიენტებთან ნდობის აღდგენა უნდა დინამის ბოლიშის მოხდით“ - აღნიშნავ ერთობლივ განცხადებაში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლიბით, ზევიად გოგიაშვილმა სარჩელით სასამართლოს 2019 წლის 27 აგვისტოს მიმართა. სასამართლომ საქმე წარმოებაში 2019 წლის 2 სექტემბერს მიიღო. მანამდე, 2019 წლის 2 ივნისს, სასამართლომ დააგებარებული შემთხვევის მიმღების ფაქტის გამო განვითარებული კონკრეტული მომთხვეული გადამდებარების პასუხისმგებლობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მომხმარებლებთან და კლიენტებთან ნდობის აღდგენა უნდა დინამის ბოლიშის მოხდით“ - აღნიშნავ ერთობლივ განცხადებაში.



რექტორი პროფესორების წინააღმდეგ

2019 წელს, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმედ იქ-ცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, ორგანიზაციის ჩართულობით ნარდგენილი სარჩელება. ნინო ლამბაშვილი, ლოლა სარალიძე, რუსუდან ლაბაძე, მანანა ხვედელიძე, ედმერ ჯაფარიძე, ლარისა ყორლანაშვილი პირველ ქართულ უნივერსიტეტში გამჭობელი ნეპოტიზმის ფარგლებში აღდგემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსის შედეგებს ასაჩინებს, სადაც მათი შესაძლებლობები და უპირატესობები ხელოვნურად არ იქნა გაზიარებული და კონკურსში გამარჯვებულები დანინაურდნენ რექტორთან სიახლოებას და გავლენების წყალობით. ნინო ლამბაშვილის, ლოლა სარალიძის, რუსუდან ლაბაძისა მანანა ხვედელიძის სამართლწარმოებას მედიამ სამართლინად უწოდა „მეცნიერების საქმე“, რომელიც ამჟამად თბილისის საპელაციო სასამართლოს განხილვაშია, ედიშერ ჯაფარიძისა და ლარისა ყორლანშვილის სარჩელები კი კვლავ თბილისის საქალაქო სასამართლოს ნარმოებაშია და შემაჯებელი გადაიწყვეტილებები მიღებული არ არის. ნინო ლამბაშვილის, ლოლა სარალიძის, რუსუდან ლაბაძისა მანანა ხვედელიძის საქმეზე, ფაქტები ერთია - 2019 წლის 27 მაისის სხდომაზე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ზაზა აბაშიძე აღლავა, რომ შემაჯებელ იქმს კომისიამ ხელი ქუჩაში მოაწერა და კონკურსს თავადვე უწოდა ვაქხანალი, ხოლო კიდევ ერთმა წევრმა, იმარ არდშელიამ სასამართლოს მიაწოდა ლირებული ინფორმაცია, თუ როგორ ხდებოდა კონკურსანთთა განაცხადებზე მუშაობა და შერჩევა. ზაზა აბაშიძის მსგავსად, იმარ არდშელიამაც დაადასტურა, რომ კომისიის შემაჯამებელ იქმს ხელი გმირთა მოედნზე, სამშობლოსთვის დალუბული მეომრების მეომრიალთან მთანერა, სადაც ზაზა აბაშიძემ დაიბარა. 2019 წლის 9 ივლისის სხდომაზე, მოწმის სახით დამატებით დაკითხულა საკონკურსო კომისიის სამართლებრივი კონფიდენციალურობით ნინო აბაკელიძიამ და ბეჭან ხორავამ სასამართლოს აღიარებითი წევნება მისცეს. დარეჯან კლდიაშვილმა განაცხადა, რომ კონკრეტული კანდიდატების სასარგებლოდ, მის მიმართ განხორციელდა ზენოლა, რაც მომდინარეობდა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული პირებისგან. კომისიის წევრის განცხადებით, კანდიდატების შეფერვის დროს, უპრატესობა მინიჭა მათთან ახლობლობას და აღნიშნა, რომ ნარმოადგნდა კომისიის თავმჯდომარე ზაზა აბაშიძესთან ნათელმირონბით დაკავშირებულ პირსაც. კანდიდატების მიმართ პირადი შეხედულებებით შეფასებაზე ისაუბრა კომისიის წევრმა ნინო აბაკელიძმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან არ სურდა კონკურსში მონაწილე ცალკეული მეცნიერებების მიმართ პერსონალური დამოკიდებულებების დაფიქსირება, კომისიის სხდომებში მუშაობაზე უარი

განაცხადა. რაც შეეხება ბეჭან ხორავას, აღნიშნულმა მოწმემ დაადასტურა, რომ კომისიის შემაჯამებელ იქმს ხელი გმირთა მოედანზე, სამშობლოსთვის დალუბული მეომრების მემორიალთან მოახერა. ასევე, ბეჭან ხორავამ აღნიშნა, რომ კომისიამ ცალკეული კანდიდატები ობიექტური კრიტერიუმებით ვერ შეაფასა, რადგანაც გადამწყვეტი გახდა არა - სამეცნიერო ნაშრომების შეფასება, არამედ - გამარჯვებულ კონკურსანტებთან პირადი ურთიერთობები. საქმის სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, სასამართლომ სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და არ დააგამაყოფილა სარჩელი. მოსამართლე დავით ხერეთლმა, თსუ მეცნიერების საქმე, თავისი ქმედებებით, სამწუხაროდ, ჩააყენა „ჩანცყობილი დავების“ რიცხვში და დამდგარი შედეგი წარმოადგინს თსუ მოქმედი რექტორის გიორგი მარგაშიძის რეპუტაციის გადარჩენის მცდელობას. მოსამართლე დავით წერეთელი და თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე საქმიანობით დაკავშირებული აღმოჩნდნენ 2006-2007 წლებში. კერძოდ, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე 2004-2013 წლებში უმაღლესი განათლების პროგრამის მხარდაჭერით, პროგრამების უფლოსი შენეცვის პოზიციაზე შექმობდა ცეტროლაური ევროპის უნივერსიტეტში. 2006-2007 წლებში, ამავე უნივერსიტეტში, ამავე პროგრამით სწავლიობდა მოსამართლე დავით ხერეთლიც, ამასთან, მოსამართლის დამსაქმებელი, წლების გამომავლობაში, იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ მოსამართლე სადაც აეტების მიმღებ უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციასთან პირადი და საქმიანი ურთიერთობები გამოირიცა და აცილების შესახებ შუამდგომლიობა არ დააკმაყოფილა. „ვინ არის უნივერსიტეტის რექტორი, რა გვარისა?“ - იკითხა შუამდგომლობის მოსმენის დროს მოსამართლემ და აღნიშნა, რომ საქმის მიუკერძობლად განხილვის საფრთხე არ არსებობდა, თუმცა პირველი ინსტრუმენტის სასამართლოში დამდგარი შედეგებით, მხარეს თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ მოსამართლე არათუ მიკერძობული, არამედ სამისამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების დამრღვევიც აღმოჩნდა. თსუ მეცნიერების საქმე პრინციპული შენიშვნელობის დავა, სადაც კონკურსი გამარჯვებული პირები გამოვლინდნენ არა საკონკურსო დებულებით აღიარებული პრინციპების საფუძველზე, არამედ კომისიის თავმჯდომარესთან, რექტორთან, კომისიის წევრებთან სიახლოებისა და გამჭვილი ნეპოტიზმის ფარგლებში. თსუ-ის რექტორს გააჩნდა არაერთი მცდელობა, თსუ მეცნიერების საქმე, არ იქნად კომისიის საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება, რაც ნომენკლატურის ჩვეულებრივი ხელწერა.

განათლების საერთაშორისო ცენტრი აპლიკანტის წინააღმდეგ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილებაზე სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და აპლიკანტ თამარ კიკაჩეიშვილის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას ცენტრის დირექტორ ნინო ჭელიძის პირად, შურისძიებით და სიძულვილით მოტივირებულ გადაწყვეტილებად აფასებს და სასწავლით რეაგირებას მოითხოვს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომ, მისი აღსრულების მიზნით, აპლიკანტი თამარ კიკაჩეიშვილი განმეორებით მიიწვია კონკურსის მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე. თამარ კიკაჩეიშვილის მოთხოვნით, მოხდა გასაუბრების მოელი პროცესის აუდიო-დაოქმება და გასაუბრება აპლიკანტმა წარმატებით დაასრულა, თუმცა მიღებული საბოლოო შედეგის (54,3 ქულა) საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილებით, მან ვერ დააგროვა დაფინანსებისთვის საჭირო ქულათა რაოდენობა. მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძნა ცენტრის დირექტორ ნინო ჭელიძის და კომისიის რამდენიმე წევრის პირად შეხედულებას, რაც გამოწვეული გახდა თამარ კიკაჩეიშვილის მიმართ პიროვნული შეუთავსებლობით და მის წინაშე არსებულ პრობლემაზე სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საკითხის გასაჯაროვების გამო, მიღებული გადაწყვეტილებით კი აპლიკანტი ისევ დაისაჯა და დაიჩაგრა. ორგანიზაციის მიმართ გამოგზვანილ წერილში მიღებული გადაწყვეტილება განმარტებულია, როგორც „დისკრეციული უფლებამოსილების“ ფარგლებში მიღებული აქტი, რაც იმ პირობებში, რაზეც იმსჯელა სასამართლოებმა, სრულიად გაუგებარი და დაუსაბუთებელია. ნინო ჭელიძის პირადი ანგარიშსწორების შედეგად, თამარ კიკაჩეიშვილს უარი ეთქვა ბოსტონის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე, სადაც უნივერსიტეტმა, სწორედ წარმოებული დავის გამო, სწავლის დაწყება ქართველ აპლიკანტს გადაუვდა 2019 წლის შემოდგომამდე.

საზოგადოებს შევასენებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის განჩინებითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, „საერთაშორისო სამაგისტრი პროგრამები 2017-2018-ის მონაწილე თამარ კიკაჩეიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი ცენტრის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება თამარ კიკაჩეიშვილის მიმართ სასტიქნდიო

პროგრამა: „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018“ კონკურსის მესამე ეტაპის გადალახვაზე უარის თქმის შესახებ, 2017 წლის 12 ივლისის სხდომის ოქმი №8 თამარ კიკაჩეიშვილის მიმართ სწავლის საფასურისა (44 695 აშშ დოლარი) და საყოფაცხოვრებო ხარჯების (22 073 აშშ დოლარის) დაფინანსებაზე უარის თქმის ნაწილში და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, განათლების საერთაშორისო ცენტრს დაევალა თამარ კიკაჩეიშვილის თავიდან შეფასება, ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თამარ კიკაჩეიშვილს უკანონოდ ეთქვა უარი აშშ-ის ბოსტონის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულებით სწავლის საფასურის - 44 695 აშშ დოლარისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების - 22 073 აშშ დოლარის დაფინანსებაზე.

თამარ კიკაჩეიშვილმა 2017 წლის 26 აპრილს ჩააბარა ბოსტონის უნივერსიტეტის განვითარებადი მედიის შესწავლის სამაგისტრო პროგრამაზე. მას მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, უნივერსიტეტმა სტიპენდია გამოუყო, ხოლო დარჩენილი თანხის მოპოვების მიზნით, მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცხადებულ „სასტიქნდიო პროგრამა „საერთაშორისო სამაგისტრი პროგრამები 2017-2018“ კონკურსში. თამარ კიკაჩეიშვილმა წარმატებით გადალახა კონკურსის ორი ეტაპი, ხოლო მესამე ეტაპზე, საკონკურსო კომისიის მხრიდან მიიღო დაბალი შეფასება და უარი ეთქვა დაფინანსების მიღებაზე.

ცნობისთვის: თამარ კიკაჩეიშვილმა ბოსტონის უნივერსიტეტმა მიიღო საგამონაცემო დამკება, მას გადაუერა და სწავლის დაწყების თარიღი და შეუნარჩუნა გაცემული სტიპენდია 2019-2020 სასწავლო წლისთვის. თამარ კიკაჩეიშვილი არის ჟურნალისტი და მედიის სპეციალისტი, პრესტიულ გამოცემებთან და საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. „ახალგაზრდა ადვოკატები“ გმობს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის და მასთან აფილირებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლო წესით, ხოლო ნინო ჭელიძის, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი დამრღვევე ხელმძღვანელის საკითხის დასმა მოახდენს სახელმწიფოს ყველა კომპეტენტურ უნივერსიტეტს და თანამდებობის პირთან. ამასთან, საჭიროდ მიიჩნევს ცენტრის შემოწმებას ანტიკორუფციული რისკების შემოწმების მიზნით.



სასამართლომ თემურ ბასილიას უკანონო დევნის გამო მიყენებულ ზიანზე პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო

2019 წლის 22 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემნის თემურ ბასილიას პოლიტიკური ნიშნით დევნისა და უკანონო მსჯავრდების გამო მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის საკითხის განხილვისას თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ სახელმწიფოს თემურ ბასილიას უკანონო, პოლიტიკური ნიშნით დევნის გამო 123,598.37 აშშ დოლარის გადასდა და დაკისრა.

„ახალგაზრდა ადგომატები“ აღნიშნავს, რომ მხარემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, რომლის მიხედვით, თემურ ბასილიას მიმართ მიყენებული ზიანი ექვსი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრა: 1. მიუღებელი შემოსავალი გაერთიანებული ერტის განვითარების პროგრამასთან კონტრაქტის განყვეტის გამო, 2. იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯების გამო, 3. საქართველოს პარლამენტის წევრის ყოველთვიური კომპენსაციის მიუღებლობის გამო, 4. აშშ-ის კაონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა, 5. 2006 წლის შემდეგ მიყენებული მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატა საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ პოლიტიკური მოტივით და უკანონი დევნის გამო საკუთარი პროფესიით მუშაობის უფლების შეზღუდვაში, ასევე, იმ უფლების შეზღუდვაში, რომ საკუთარი შრომით მიეღო შემოსავალი და საარსებო საშუალება (გაეროს განვითარების პროგრამასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის შეწყვეტის, ასევე, შემოთავაზებულ კონტრაქტებზე უარის თქმის გამო) და 6. მიყენებული მორალური ზიანი გამო.

საქმეში წარმოდგენილი იყო, როგორც სისტ ლევან სამხარაულის სახელმწიფის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ასევე, აუდიტორული ფირმა: „ბაკაშვილი და კომპანია“ საფინანსო-ეკონომიკური ესპერტიზის დასკვნები. ორივე დასკვნა ადასტურებს, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ თემურ ბასილიას პოლიტიკური მოტივით დევნის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის ფაქტს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თემურ ბასილიას სარჩელი დააკამაყოფილა ნანილობრივ. კერძოდ, სასამართლომ საფუძვლიანად ცნო და გაიზიარა თემურ ბასილიას მიმართ დამდგარი რეალური ზიანი გაერთიანებული ერტის განვითარების პროგრამასთან კონტრაქტის განყვეტის გამო მიუღებელი შემოსავლის გამო. ასევე, იურიდიული მომსახურების აუცილებლობის გამო გაღებული ხარჯები. ამასთან, სასამართლომ ცალკე იმსჯელა და სრულად დააგენაყოფილა მორალური ზიანის მოთხოვნა. სასამართლომ არ გაიზიარა სხვა საკითხები და გამოარტა, რომ „ზიანის“ ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს განტვრეტადი და მოსალოდნელი, ნამდგილი ზიანი. მხარე, დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდგომ გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა დავას სააპელაციო წესით იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო.



სტრატეგიული სამართლალწარმოება

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, თემურ ბასილია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გაუქმდა 2008 წლის 28 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩენის ის ნაწილი, რომლითაც თემურ ბასილიას უკანონო მსჯავრი დაედო. სასამართლომ სრულად გაითვალისწინა საქართველოს მთავარი პროცესურის სამართალიანობის პროცესური ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2017 წლის 27 იანვარის დადგინდება „მსჯავრდებულ თემურ ბასილიას მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ და ახალი გამოძიების შედეგად წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა, რომ თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკურაზე მიმდინარებული დადგინდების განვითარების პროგრამასთან კონტრაქტებზე უარის თქმის გამო. მიყენებული მორალური ზიანი გამო.

საქმეში წარმოდგენილი იყო, როგორც სისტ ლევან სამხარაულის სახელმწიფის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ასევე, აუდიტორული ფირმა: „ბაკაშვილი და კომპანია“ საფინანსო-ეკონომიკური ესპერტიზის დასკვნები. ორივე დასკვნა ადასტურებს, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ თემურ ბასილიას პოლიტიკური მოტივით დევნის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის ფაქტს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თემურ ბასილიას სარჩელი დააკამაყოფილა ნანილობრივ. კერძოდ, სასამართლომ საფუძვლიანად ცნო და გაიზიარა თემურ ბასილიას მიმართ დამდგარი რეალური ზიანი გაერთიანებული ერტის განვითარების პროგრამასთან კონტრაქტის განყვეტის გამო მიუღებელი შემოსავლის გამო. ასევე, იურიდიული მომსახურების აუცილებლობის გამო გაღებული ხარჯები. ამასთან, სასამართლომ ცალკე იმსჯელა და სრულად დააგენაყოფილა მორალური ზიანის მოთხოვნა. სასამართლომ არ გაიზიარა სხვა საკითხები და გამოარტა, რომ „ზიანის“ ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს განტვრეტადი და მოსალოდნელი, ნამდგილი ზიანი. მხარე, დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდგომ გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა დავას სააპელაციო წესით იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო.



„VTB ბანკის“ მენეჯერის გათავისუფლების საქმე – როცა ძალა აღმართს ხნავს

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“, 2019 წელს წარმოებული მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებიდან, ერთეული VTB ბანკ ჯორჯიას“ მიმართ წარმოებული საქმეცაა, სადაც სასამართლო დაზარღულებულის სასარგებლო გადაწყვეტილება არ მიღორ. ორგანიზაცია საჯარო განცხადებით გამოიხმაურა სრულად მოულენდელ ვერდექტს, რამაც გონიერი დამკვირვებლის თვალში, დატოვა შთაბეჭილება, რომ სასამართლო ხელისუფლების პირველი ინსტანცია მიეკრძოებული აღმოჩნდა და ბანკის მიმართ საჭირო პრეცედენტი არ შექმნა. მოსამართლე მაია გიგაურის გადაწყვეტილება დამაზიანებელი და პრობლემატურია სამართლიანი სასამართლოსთვის - აღნიშნა თრგანიზაციის განცხადებაში, საქმე კი სააპელაციო წესით გასაჩივრდა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება არ პასუხობს „VTB ბანკ ჯორჯიას“ ცენტრალური ფილიალის საოპერაციო განყოფილების ანგარიშების ყოფილი მენეჯერის უკანონო გათავისუფლების საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობის პირებულ შეფასებას. სასამართლომ არ დააქმაყოფილა ბანკიდან გათავისუფლებული მუშავის სარჩელი უსაფუძვლობისა და ხანდაზულობის გამო, რაც არის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის შედეგი. მოსამართლის გადაწყვეტილება დამაზიანებელი და პრობლემატურია სამართლიანი სასამართლოსთვის, ვინაიდან ნებისთ თუ უნებლივთ, არ ასახავს საქმეში არსებულ სინამდვილეს და იცავს ძლიერი მხარის - ბანკის ინტერესებს.


